საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა
ტფილისი

№ 141
ივნისის 30, სამშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 141
ივნისის 30, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ

საუკეთესო ვენახების

კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—ნ.—23)

რადგან კბილის ექიმი

ი. ა. ახალშენიშვილი

1 ივნისიდგან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება.

(5—1).

პედაგოგიური საბჭო გორის ანასტასიის პროგიმნაზიისა, ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1-ლს სეკდემბერს ამ პროგიმნაზიას **მოემატება მეხუთე კლასი.** მისაღები გამოცდა დანიშნულია 26 აგვისტოს. დამატებითი გამოცდა 27 და 28 აგვისტოს. თხოვნები მიიღება ზედამხედველის (началница) სახელზე. თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მეტრიკული და ყვავილის აცრის მოწმობანი. (3—ქ—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფიბანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ვ. ხ. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіяна. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისი

◆ სასულიერო მთავრობას განუზრახავს სამოსწავლო ოლქები დაარსოს რუსეთში და კავკასიაშიც. თუმცა ეხლა სამოსწავლო ოლქის მეთვალყურეს თანამდებობა არსებობს ჩვენში, მაგრამ ეს თანამდებობა მხოლოდ უწმინდესის სინოდის დადგენილებით არის თურმე შემოღებული და, როგორც გადმოგვცეს, არა უმაღლესის ბრძანებით. განზრახული ოლქები-კი შესაძლოა მხოლოდ უმაღლესის ბრძანებით დაარსდეს. ოლქს განსაკუთრებული საბჭო განაგებს, ეპარქიის მღვდელ-მთავრის თავმჯდომარეობით. წევრებათ იქმნებიან ეპისკოპოსები, სემენარიის რექტორები, სამოსწავლო ოლქის მეთვალყურე, გუბერნატორი და სხვა მაღალ დაწესებულებათა უფროსნი. ფრიად საჭიროა პროექტი ამ ახალ ოლქების დაარსებისა წინადვე გამოქვეყნდეს და მწერლობამ თავისი მსჯელობა გამოსთქვას. აუცილებლად საჭიროა აგრეთვე ამ საოლქო საბჭოებში მონაწილეობას იღებდნენ გუბერნიისა და მაზრების მარშლები და ადგილობრივის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებისა და მოთხოვნილების მცოდნენი.

◆ დღეს დილით კავკოვისაკენ მიემგზავრებიან ჩვენი მსახიობნი: საფაროვი-აბაშიძისა, ნატ. გაბუნია-ცაგარლის, ქეთ. ანდრონიკაშვილისა და ვას. აბაშიძე. კავკავში მხოლოდ ორი წარმოდგენა იქნება 3 და 5 ივლისს.

◆ თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მოწაფეთა ხელ-მეორედ გამოცდა იქმნება წერაში—25 აგვისტოს, ხოლო პირადი—26-ს; ახალ მოწაფეთა გამოცდა 27 და 28 აგვისტოს მოხდება. 1 სექტემბერს პარაკლისი იქმნება და სწავლაც დაიწყება.

გარეშე მოსიარულე მოწაფენი იხდიან სწავლის ფასს წელიწადში ოთხს თუმანს. პანსიონში გაზრდისა და სწავლის ფული 190 მანათია წელიწადში, ხოლო ნახევარ პანსიონერების შესანახი—100 მანათი. ნახევარ წლის ფული წინდაწინ უნდა შეიტანონ.

◆ უმართებულესმა სენატმა, ერთის ქალაქის სახლის პატრონის საჩივრის გამო განმარტა, რომ ქალაქის მამულების დაფასება თვით ქალაქის სამმართველოს საქმეა და უმაღლესი მთავრობა უკმაყოფილო სახლის პატრონების საჩივრებს არ განიხილავსო.

◆ ტფილისში მეორე დედათა გიმნაზია არსდება. პირველ გიმნაზიის დირექტორს აგაპიევს მოლაპარაკება აქვს თ-დ გ. ა. არგუთაშვილ-მხარგრძელთან, რომლის ახალ სამსართულიანის სახლის დაქირავებას აპირობს, ვერაზე.

◆ ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ ის ვაჭრები, რომლებიც თავის დროს, ე. ი. პირველ ნოემბრამდე არ აიღებენ ხაზინიდგან სავაჭრო მოწმობას, გამოირიცხებიან ვაჭართა საზოგადოებიდგან და მოვალენი არიან ისევ სოფლის ანუ ქალაქის მოხარჯეთა საზოგადოებაში ჩაეწერონ. უკეთუ გამორიცხულებმა შემდეგ ისევ მოინდომეს ვაჭართა საზოგადოებაში ჩაწერა, მაშინ ხელ-ახლა უნდა მიართვან თხოვნა სახაზინო პალატას და წარადგინონ მოწმობები, რომ მხვედრი სავაჭრო ხარჯი სრულიად გადიხადეს.

◆ ქალაქი ტფილისი მომავალ 1904 წელს, თანხმად სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა, ქალაქის სასწავლებლებს მოახმარებს 84,000 მანათს: მასწავლებელთა ჯამაგირი 50,000 მ. და სხვა ხარჯი—34,000 მან. სამასწავლებლო კომისიას საჭიროდ დაუნახავს ყოველ სკოლას უყიდოს თითო წყალის დასაწმენდი ფილტრი, 20 მან. ღირებული, შეიძინოს და დაურიგოს ღარიბ მოსწავლეებს აბანოს ბილეთები, რასაც 200 მან. მოუნდება და გადასდოს ყოველ თვე ათ-ათი მანათი სასწავლო ნივთების სასყიდლად, რომ ღარიბ მოსწავლეებს დაურიგოს.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოში 7 აგვისტოს გაირჩევა საქმე მიკირტიჩ მანუკიანცისა, სვიმონ ჯორჯორიანცისა და ალექსანდრე ბადალოვისა, რომლებსაც ყალბის ფულის მოჭრა ჰბრალდებათ. გამამტყუნებელ ოქმიდანა სჩანს, რომ ბრალდებულ ტფილისელ სომხებს შარშან ტფილისში, ავლაბარში ყალბი 10 და 15 მანათიანი ოქროს მინაგვარი ფული უკეთებიათ და უვრცელებიათ.

◆ ქალაქის სამმართველოს განუზრახავს ხუროების ქარხნები დიდის მთავრისა, რიყისა, ავჭალისა, ელისაბედისა და სხვა ქუჩებიდგან, აგრედვე მადათოვის კუნძულიდგან გადაატავინოს ვერაზედ, სატივესთან.

◆ ქალაქის გამგეობას ნება მიუცია ინჟენერ კირაკოზოვისათვის, რომ საელექტრონო სადგურიდგან, რომელიც კავკასიის მუზეუმის პირდაპირ არის, მავთულები გაიყვანოს თამამშევის ქარვასლისაკენ, სასახლის ქუჩაზე, ვაჭართა მაღაზიების გასანათებლად. ამასთანავე გამგეობამ დაავალა ინჟენერ კირაკოზოვს, რომ სასახლის ქუჩა უფასოდ გაანათოს ღამის 1 საათამდე. ამ პირობის დარღვევისათვის ბ-ნ კირაკოზოვს ჯარიმა გადახდება ყოველ შემთხვევაში 2 მანათი და ორის კვირის განმავლობაში უნდა მავთულები ჩამოხსნას და ბოძებიც აილოს.

◆ მეტი არ იქნება მოვაგონოთ მკითხველებს, რომ ამ 5—6 წლის წინად სათავადაზნაურო ბანკმა მოიწადინა ელექტრონის მავთულების გაყვანა სასახლის ქუჩაზედ კერძო მაღაზიების გასანათებლად და ქალაქის სასამართლომ ცხარე წინააღმდეგობა გაუწია, თვით ქალაქი აპირობს ელექტრონის განათების მომართვას და კერძო მაღაზიების განათებასაო.

◆ ტფილისის მუზეუმის საარქეოლოგიო განყოფილებიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუპარავთ ერთი ვერცხლის ზოდი, 8 ცალი ძველი ოქროს ფული და 4 ძველი ვერცხლის ფული.

◆ შავი ზღვის პირად განზრახულ რკინის გზის გაყვანის საქმე, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, საბოლოოდ გადაწყდა. გზა უნდა გაიყვანოს კავკასიის რკინის გზის საზოგადოებამ და შეუერთოს ეს გზა ამიერ-კავკასიის გზას. შეერთება მოხდება ახალ-სენაკის სადგურთან. აქედგან ლიანდაგი სოხუმისაკენ წავა, მერე ზღვის პირ-პირ ველიამინოვის ნავთ-სადგურისაკენ, საიდგანაც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას მიიღებს, მდინარე ყუბანის ერთ-ერთ შტოს ხეობაზედ გაივლის და არმავირის სადგურთან კავკავის გზას შეუერთდება. რკინის გზა, სხვათა შორის, სოჩზედაც გაივლის.

◆ ტფილისის მაზრას ყარაიაზის საბოქაულოში გაჩენილა ყაჩაღთა ბრბო, რომელიც ბორჩალოს მაზრიდგან გადმოსულა და ყარაიაზის ტყეებში იმალება. ამბობენ, ყაჩაღები ეხლა ყარაიაზიდგან სიღნაღის მაზრისაკენ აპირებენ წასვლასაო. სხვათა შორის, ბრბოში არიან: გუმბათ-დაშტამირ-ოღლი, შამილ ყარა-ოსმან-ოღლი, ბალა-მაჰმედ-ოღლი, ამხანაგი აწ უკვე მოკლულ ყაჩაღის ქერ-მამედისა, და მეოთე ახმედი, რომლის გვარიც არ იციან. ტფილისის მაზრის უფროსმა შესაფერი განკარგულება მოახდინა ყაჩაღების შესაპყრობად.

◆ ვერაზედ მამულის პატრონს დ. ს. ბერიძეს განუზრახავს ცხენის რკინის გზის გამართვა ვაროზის ხევიდგან ნაგუბარამდე წყნეთისკენ. რადგან ეს ადგილი ჯერ ქალაქის ფარგალში არ არის შესული, ბ-ნ ბერიძეს უთხოვნია მაზრის უფროსისთვის, ნება მომეცით ამ ადგილას ორი ვერსის მანძილზე გავიყვანო სამაგალითო გზე-ლკეცილი და მერე გავმართო ლიანდაგი ვაგონების სასიარულოდაო. ამასთან ბერიძე თანახმაა შეიტანოს ბე 5000 მანათი. წყნეთის სოფლის საზოგადოებას კიდევ განაჩენით დაუდგენია იშუამდგომლოს, რომ ბერიძეს ამ გზის ნება მიეცეს. ადგილის პატრონებიც თანახმანი არიან დაუთმონ ბერიძეს საჭირო ადგილი გზა-ტკეცილის გასაყვანად. მაზრის უფროსმა ეს საქმე გუბერნატორს გადასცა განსახილველად.

სოფლის მასწავლებლების მდგომარეობა.

ერთ უმთავრესს და უსაჭიროესს პირობად, ურომლისოდაც მოსაფიქრებელიც კი არ არის, რომ ხალხის სწავლა-განათლების საქმე წინსვლის გზას დაადგეს, რომ ყოველმა პირველდაწყისმა სასწავლებელმა პირნათლად და ჭეშმარიტად აასრულოს თავისი დანიშნულება და მოვალეობა, და ვით ბრწყინვალე მანათობელმა ხალხი სიბნელიდგან გამოიყვანოს, —უნდა ჩაითვალოს მომზადება სახალხო სკოლების მასწავლებლებისა. ჩვენ უნდა გვყვანდენ არა ისეთი მასწავლებელნი, როგორიც ეხლა არიან—უმეტესი ნაწილი მოუმზადებელნი და მხოლოდ გარეგანის შეხედულობით მასწავლებელნი, რომელთაც თავიანთ საქმის უცოდინარობის გამო, შემოაქვთ სასწავლებელში ყოველი მეთოდი და ნაწარმოები ცრუ და მავნებელ პედაგოგებისა, არამედ თავიანთ საქმისათვის მოწოდებულნი და მომზადებულნი მოღვაწენი.

სხვა დირექციებს არ შევეხები, და ტფილისის გუბერნიის დირექციის მასწავლებელნი რომ ჩამოვთვალოთ, ნახევარზედ მეტს მოუმზადებელს, მხოლოდ მოწმობა აღებულს და უფლებათა მოპოვებულ მასწავლებლებს შეხვდებით, რომელთაც ან სამოქალაქო სასწავლებელში უსწავლიათ, ან სხვა სასწავლებელიდგან კურს შეუსრულებლად გამოსულან და შესდგომიან ამ ფრიად სამძიმო და საძნელო საქმეს. განა ესე აბუჩად ასაგდებია მასწავლებლობა, რომ მოუმზადებლად ვინმემ ხელი მოჰკიდოს და აასრულოს იგი? ხშირად შეხვდებით იმისთანა განათლებულ კაცს, რომელიც ვერა ჰბედავს მასწავლებლობას ხელი მოჰკიდოს, რადგან ამ საქმისათვის მოწოდება არა აქვს. ტფილისის დირექციაში კი, ზოგჯერ ნახავთ, რომ მომზადებულს და მცოდნე მასწავლებელს უფროსობს სრულიად მოუმზადებელი და საქმის უცოდინარი მასწავლებელი, რომელიც განაგებს სასწავლებელსა და თხოულობს მონობრივ მორჩილებას თავის თანაშემწის მხრივ. თუ ამ თანაშემწემ სასწავლებლის სასარგებლოდ რაიმე კეთილი აზრი წარმოსთქვა, გამგეს გული მოსდის, ამ მასწავლებლის მოქმედება სასწავლებლის ინტერესების წინააღმდეგად გამოჰყავს.

რამ აიძულა მთავრობა, რომ ამ გვარი მოუმზადებელი და თავიანთ ხელობის უცოდინარი მასწავლებელნი გაეგზავნა პირველ დასაწყისს სასწავლებლებში? იმ გარემოებამ, რომ სამოსწავლო სემინარიებში კურს დამთავრებულნი ყოველსავე ღონისძიებას ხმარობენ მასწავლებლობა თავიდგან აიცალონ, რადგან კარგად იციან, რომ თუ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს შიმშილით სული ამოუვათ. მაშასადამე, რომ მოვიპოვოთ საქმის ზედ მიწევნით მცოდნე მასწავლებელნი, ჯერ მათი ცხოვრება ნივთიერად უნდა მოვაწყოთ, თორემ ყოველივე მათგანი სიღარიბითა და შიმშილით გაჭირვებული ეცდება თავი მიანებოს მასწავლებლობას და ხელი მოჰკიდოს სხვა რაიმე საქმესა, რომ სიღარიბისა და უზომო შრომისაგან სული არ ამოხდეს ამიტომ მათ უნდა ეძლეოდეს იმდენი ჯამაგირი, რომ თავის თავიცა და ოჯახიც გამოჰკვებონ. შვილებსაც კიდევ იმდენი განათლება მაინც მისცეს, რამდენიც თვითონ მიუღიათ.

შეიძლება მასწავლებელმა ცოლი შეირთოს და დაწვრილშვილდეს კიდეც. მერე რა მომავალი მოელის შემდეგში მის შვილებს, როდესაც იმათ მშრომელ მამას, ვიდრე ღონე შესწევს, იმსახურებენ და შემდეგ, დაუძლურებულს და მისუსტებულს მასწავლებლობიდგან დაითხოვენ.

გარდა ამ გარემოებებისა, რომელიც სიცოცხლეს უმწარებენ მასწავლებელს, მის მოღვაწეობას წინ ეღობება ისიც, რომ სასოფლო სკოლებს არა აქვთ იმისთანა ბიბლიოთეკები, რომ მასწავლებელს შეეძლოს წაეკითხა სასარგებლო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ედევნებინა თვალმყური, როგორც თავის ხელობის წარმატებისათვის, ისე ცხოვრების მიმდინარეობისა და წინსვლისათვის, რომლითაც უფრო კარგს წინამძღოლობას გაუწევდა თვით ხალხს და მოზარდ თაობასაც. მასწავლებელს ბევრჯერ ის დამცირებაც მოელის, რომ ყველას წინ თავი მოიხაროს და მოწიწებით მოექცეს, მაგ., სოფლის მამასახლისს, მწერალს, ხარჯის მკრეფელთ და გზირებსაც-კი, რომ ის მცირედი ჯამაგირი, რომელსაც იღებს, დროზედ ხაზინაში შეიტანონ.

გარდა ამისა მასწავლებელს სიბერისა და უძლურობის დროს პენსიის იმედიც უნდა ჰქონდეს. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ხალხის განათლების საჭიროებაზედ და გაუმჯობესებაზედ, გვსურს სავალდებულო იყოს ხალხისათვის პირველ-დაწყებითი სწავლაო ვწუხვართ, ხალხის განათლების საქმე კუს ნაბიჯით მიდისო; გვეყოფა ამდენი სიტყვიერი თანაგრძნობა და ნატვრა, ეხლა საქმეს მოვკიდოთ ხელ და გავითვალისწინოთ რა უკიდურეს მდგომარეობაშია დღეს სახალხო სკოლის მასწავლებელი. რა მალამო დავადოთ ამ საქმეს, რომ მასწავლებლის ცხოვრება გაუმჯობესდეს, უფრო გულმოდგინედ და გამხნევებული უმზერდეს მასწავლებელი თავის მოვალეობას, რომელზედაც უნდა ჰბონდეს დამყარებული თვისი ძალ-ღონე. სწორედ რომ გასაოცარი და ამასთანავე სამწუხარო მოვლენასა ვხედავთ ჩვენ ეხლანდელს ცხოვრებაში! სამღვდელოებას ეძლევა ცოტა თუ ბევრი პენსია და დღითი-დღე უმჯობესდება მათი ცხოვრება, თავადაზნაურობასაც ეძლევა სხვა-და-სხვა უპირატესობა, რა დააშავა საწყალმა მივიწყებულმა სოფლის მასწავლებელმა, ამ დაუღალავმა მუშაკმა ხალხის საკეთილდღეოდ?!. მასწავლებლის ჯამაგირი, ვერც თითონ ჰყოფნის და ვერც მის ოჯახს, არაფერი უპირატესობა მას არ ეძლევა არც ხალხისა და არც მთავრობის მხრივ. არიან იმისთანა სოფლებიც-კი, სადაც დღემდე მასწავლებელს ჯამაგირი არ აღემატება ათ-თხუთმეტს თუმანს წელიწადში. განა შესაძლებელია ამ მცირე ჯამაგირით მარტო ხელმა კაცმაც-კი იცხოვროს?

მასწავლებელი უნდა იყოს განწყობილი სოფლის მკვიდრთანაც-კი, რომ ჯამაგირის მიღებამდე სანოვაგე ნისიად აძლიოს თუმცა ერთი-ორად. ცხოვრებაში სოფლის მასწავლებელს გულ შემატკივარი საქმით თითქმის არავინა ჰყავს. ზოგჯერ მთელის წლობით და თვეობით არა ხვდება ისეთს ამხანაგს, რომლისთვისაც შეეძლო გაეზიარებინა თავი-

სი აზრი, გულის-პასუხი.

არც საეკლესიო სკოლების მასწავლებელნი არიან სანატრელ მდგომარეობაში. ამათაც სამინისტრო მასწავლებლებივით ყველას უნდა ასიამოვნონ და მეტადრე თავის პირდაპირ მთავრობას. სამაზრო ზედამხედველი სკოლებისა, რომელიმე სულიერი მამა ანუ ბლაღოჩინი, რომელთაც სწავლა-აღზრდის საქმე ბევრჯერ ცოტა ესმით, ეს ღვთის მსახურნი, სხვის მოსამსახურეობას შეჩვეულნი, მასწავლებლისაგანაც ბევრჯერ თხოულობენ ასეთსავე მორჩილებას და თუ მასწავლებელმა კარგი წერაც იცის, არ მოაკლებენ მას სხვა-და-სხვა საეკლესიო ქაღალდების გადაწერას. რამდენიმე შემთხვევაც იყო, რომ სამოსწავლო მთავრობამ მასწავლებლებს ერთმანერთთან მისვლა-მოსვლაც-კი აუკრძალა და ბრძანებისამებრ სახალხო სკოლების დირექციისა „სასტიკად აღეკრძალოთ“ ამ გვარი ყრილობანი („ობრაზოვანიე“ 1902 წ. № 5, 6. გვერ. 81—82). აი ამ გვარ არა სასურველ მდგომარეობაშია დღეს სოფლის მასწავლებელი.

მეც, ამ სტრიქონების დამწერმა, ბევრი სიმწარე გამოვიარე ჩემს 15 წლის მასწავლებლობაში. შემდეგ დავსნეულდი, მასწავლებლობას ძალა-უნებურად თავი დავანებე, შევცქერი მწარე ფიქრებით მოცული ჩემს შვილებს, რომელთაც სამწუხარო მომავალი მოელით. ბევრჯერ მშიერ-მწყურვალს მაგონდება მანუგეშებელი სიტყვები პოეტისა:

არც კაცი ვარგა, თუ რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში
და სოფელსა-კი არა რა არგოს.

ბევრჯერ კიდევ ჩემი თანამეცხედრე და კეთილ მორწმუნე მეუღლე შემაწყვეტინებს ხოლმე ღიღინს და გულ საკლავად მეუბნება: „კაცო, რა გემღერება, შიმშილით და სიტიტვლით ლამის ყმაწვილები დაგვეხოცონო“.

მეც ვუპასუხებ ხოლმე:

არ შეგეშინდეს, დასდეგ, გამაგრდი,
გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი!

ამ სიტყვებით ვისტუმრებ ჩემს მეუღლეს, რომელიც ბევრჯერ, გაბრუნებული, წაიბუტბუტებს ხოლმე, „სწორედ ეს კაცი ჯავრმა და ნაღველმა გადარიაო!“.

ნამასწავლებლარი.

რეხელი ქართველები ბორჩალოში.

შემდეგი*)

ე. ლხინი და ქეიფი.

ყველიერში. რეხელები დიდ-პატარამდისან, სქესის განურჩევლად, სულის ცხონებასავით მოელოდებიან ყველიერის უკანასკნელს კვირასა. მაშინ სოფელს, ცოტად თუ ბევრად, სიცოცხლის ელფერი ეფინება. მცხოვრებნი გაჭირვებას და დარდს ივიწყებენ და სიმხიარულეს თავს აძლევენ. თითო-ოროლა ჭიქა ღვინისაგან გამონახადი არაყიც ყველა ოჯახში მოიპოვება. შეიქნება ყველიერის პირველ დღიდანვე რეხელებს შორის გადაწვევა-გადმოწვევა. კაცები კაცებს იპატიჟებენ: ნათესავებსა, ნათლიებსა, თუ მოყვრებსა და ქალები—ქალებსა. სასმელს უჩვევი რეხელები რომ გადახუხავენ ერთ ორ ჭიქას, წყალ-წყალა ღვინის არაყსა, მექეიფიანდებიან და დაიწყებენ ტკბილად ჭიკჭიკსა. მღერიან ბაიათებს თათრულს ენაზედა და შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი, შექცევიან კაცები ცალკე ოთახში და ქალები — ცალკე კაი ნაზუქებს, ხაჭაპურებს, ქადებს, ყველს, მომწვარ ერბო-კვერცხს და ზოგან ახალ თევზსაც. ჩხუბი აყალ-მაყალი, ანუ გადაჭარბებული სმა, რეხელებს კანონად არ უწერიათ. ყმაწვილ კაცებსა და საერთოდ ქალებს არა აქვთ ნება, რომ ქეიფის მომგვრელი რამ სასმელი დალიონ. თუ ვინმემ გაჰბედა და გაუგეს, ვაი იმის დაბადების დღეს მაშინა! პატრონები მიწასთან გაასწორებენ და სასოფლოდ თავს მოჭრილი შეიქნება.

ყველიერის მეოთხე დღიდამ, ხუთშაბათ დილიდამ დიდმარხვის დაწყებამდე, გაიმართება საერთო სასოფლო, კაცებისა და ქალების ერთად ზურნაზედ თამაში. დიდ დარბაზის ბანზედა, სოფლისავე მეზურნენი.. დასდგებიან სამ დასად დაყოფილნი და უკრავენ, რაც ძალი და ღონე აქვთ ზურნასა. ზურნის ხმის გაგონების უმალვე, მთელის სოფლის მცხოვრებნი, დიდ-პატარამდე, სქესის განურჩევლად, საგარეოდ ჩაცმულ მორთულნი ჩქარის ნაბიჯით მიეშურებიან სალხინოდ ამორჩეულ დარბაზისკენა. როცა ხალხის დენა შესწყდება, მეზურნეები ბანიდამ ძირს ჩამოვლენ; ორის წლის განმავლობაში მეჯვარეებათ ნამყოფნი თითო გუნდს მეზურნეებისას გაიძღოლებენ წინ დაკვრითა და ეწვევიან თავიანთ ნათლიდედების ოჯახსა, სასოფლო ლხინში გამოიპატიჟებენ ნათლი მამა ნათლი-დედასა და ზურნის დაკვრით შეიყვანებენ ხალხით გაჭედილს დარბაზში. პატარძლების მოყვანა რომ ჩამოთავდება მერმე შეუდგებიან საერთო თამაშის თადარიგსა. გასათხოვარნი, პატარძლები, ახალგაზრდა რძლები და ბოლოს პატარა გოგოები ერთ მხარეს, დამწკრივებულნი, ხელი ხელ ჩაკიდულნი დასდგებიან. ამათსავით დამწკრივდებიან დასანიშნი ბიჭები, დანიშნულები, ახალი მეფეები და შემდეგ ყველა ისინი, ვისაც-კი გული ერჩის სათამაშოდ, თუნდაც რომ შუა ხნის კაცებიც იყვნენ, დანარჩენი ხალხი, მოხუცებული კაცები, შუა ხნისანი „და ისინი ვისაც სურვილი არა აქვს თამაშობისა, მასთან პატარა ბიჭებიც, დარბაზის შუა ადგილას ფეხმოკეცილნი ძირს დასხდებიან და ხნიერი ქალები, ვინც თამაშობაშა მონაწილეობას არ იღებენ, იმავე დარბაზის რომელსამე მობნელო ადგილას მიკუნჭულნი არიან და იქიდამ სეირს უყურებენ.

მოემზადება თუ არა ხალხი სათამაშოდ, მეზურნეები სამის მხრიდამ დაუკრავენ ზურნასა, იმ წამსვე მოთამაშე ხალხი ატოკდება. მეზურნეებიც აპათზედ უარესად მღელვარებენ. წელში ირხევიან, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გადადიან, ფეხს ხან ერთს აიწევენ მაღლა და ხან მეორეს, კუნტრუშობენ და ისევ უკრავენ სმენის დამრუებელს ზურნასა—მოთამაშეთა წინ ერთი ნაქები მოთამაშე კაცი ჯოხით ხელში მითამაშობს, იმას ყველანი ხელებ ჩაკიდულნი მისდევენ და შუაგულს დარბაზში მსხდომ ხალხს გარშემო უვლიან წელში გამართულნი, დინჯად და წყნარად. მეზურნეებს რომ მოსწყინდებათ ერთნაირ ხმის დაკვრა, მეორე ხმას დაიწყებენ; მოთამაშენიც ხელებ გაშლილნი დაიწყებენ გარშემოვლასა. რამდენისამე ხნის შემდეგ, მესამე ხმას დაუკრავენ. მოთამაშენიც ერთი ერთმანეთს მხარი-მხარს მიაბჯენენ მჭიდროდ და ისე დინჯად უვლიან. მესამე მეოთხე ხმას დაუკრავენ და მოთამაშენიც ხან მარჯვენა და მარცხენა მხარი მხარს მირტყმით გამხნევებულნი უვლიან გარსა. მესამე მეზურნეები მეხუთე ხმას დაუკრავენ წასვლისას და მასთან გათავებისას. ხალხი თამაშობას შესწყვიტავს და წასვლას დააპირებს. მეზურნეები გადიხიდებიან გასასვლელს კარებში და მეჯვარეებს, თუ სხვებს. გასამსჯელო ფულსა სთხოვენ. ქალებს-კი არ ჰკადრებენ. და თუ ვინმემ იმათგანმა თავის სურვილით მისცა ფული, უარს არ ამბობენ. რადგანაც რეხელი მეზურნეები ძალიან თავდაბალი ხალხია, ზოგი ორკაპეიკს აძლევს,—ზოგი კაპეიკს და ზოგიც არაფერს, ისე რომ თითო კაპეიკობით მეზურნეები კაი ლახვს დაიყენებენ ხოლმე.

ასე ატარებენ დროს რეხელები დიდ მარხვის დაწყებამდის დღეში სამჯერ: დილით რვა საათზედ შეიკრიბებიან დარბაზში და თერთმეტ საათზედ შესწყვეტენ. მეორედ შეიკრიბებიან ხელმეორედ სამს საათზედ და მზის ჩასვლის დროს შესწყვეტენ და შემდეგ კიდევ მესამედ დაბინდებიდამ დაიწყებენ და შუაღამემდე გასტანს ხოლმე მათი ლხინი-თამაში.

ვისაც სურს, ამა თუ იმ ქალის სილამაზე, ანუ სიგონჯე შეიტყოს,, სასოფლო საერთო თამაშობაში ეს ადვილად მოსახერხებელია. უცხო კაცი, რომელსაც ამგვარი ლხინი და თამაში თავის სიცოცხლეში არ უნახავს სწორედ გაოცდება და ეგონება საზღაპრო ქვეყანაში ვარო.

(შემდეგი იქნება)

ჩვენებური ამბები

დ. ცხინვალი. თუმცა მართალია ჩვენი ლაპარაკი კედელზე ცერცვის პნევა გამოდის ცხინვალელთა ყურთასმენისთვის, მაგრამ მეტი გზა არა გვაქვს უნდა კიდევ მოვიგონოთ და შევეხოთ მათ სიბეჩავე-სიბრმავეს. აგერ ოთხი წელიწადი სრულდება, რაც რის ყაითა და ვუით, გაიმართა წარმოდგენა მომავალის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. გავცარცვეთ ხალხი და რისთვის?!. იმიტომ, რომ ის ფული შეგვეტანა ბოქაულის სამმართველოში და ეყლაპა მთელი ცხინვალის სიბინძურე და ესმინა ათასი კლიაუზნური საქმენი ცხინვალისანი და მის საბოქაულოსანი?!.

დიახ, ხარჯს გარედ დარჩა სამკითხველოს სასარგებლოდ ხუთი თუმანი და რადგან, როგორც „ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ სამკითხველო უკვე დამარხული გახლდათ, უნდოდათ მის მოადგილედ ახალი დაეარსებინათ, მაგრამ ცხინვალის საზოგადოებამ თვალები დახუჭა და ფული ბოქაულს გადაეცა და აი დღესაც ბოქაულის ხელშია. რათა და რისთვის?! ჩვენის აზრით რაკი ცხინვალელებისათვის სამკითხველო მეტი ბარგია, ხუთი თუმანი საზოგადოებისაა და დროა გადასცენ რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებას.

აქვე არსებობდა საამხანაგო მარანი, სადაც ყოველ მოსავლის დროს იკრიფებოდა ტკბილი და თუ ხსოვნა არა გვღალატობს ასოც თუმნამდისინ ჰქონდა ფული და აპირებდნენ საამხანაგო სავაჭრო მაღაზიის გახსნას, რომ თავი ეხსნად მატყუარა ჩარჩებისაგან. რა მოუვიდა ამ ამხანაგობას, ამანაც სული დალია თუ არსებობს კიდევ? კარგი იქნება ვიცოდეთ რა დაემართა. მაგრამ ჩვენ რაღას ვამბობთ განა არის ადამიანი ცხინვალში, რომ მის ავ-კარგიანობაზე ფიქრობდეს?! თქვენც ნუ მამიკვდეთ, აქ სწამთ მხოლოდ თავიანთი კუჭის მრწამსი და სხვა არაფერი.

წარსულს კვირას მოვიდა აქეთ სეტყვა და ძალიან გააფუჭა ვენახები, ისე რომ ზოგიერთი ვენახები, არა მგონია ამ ოთხ წელიწადს გამობრუნდეს. ბრალი იმათი ვისაც ამ ვენახებში ოფლი ჩაუღვრია, თორემ ცხინვალელ „პაიასტანთ“, რომელთაც ხელობად ტკბილის დაკვეთა და ნახევარ ფასად ყიდვა ორ თუნგიანებით გაუხდიათ რა უშავთ, მათთვის არა გაფუჭებულა-რა, მათვის არცა წვიმს, არცა ქუხს. ამგვარ შემთხვევაში უფრო ძრიელ ითბობენ ხელს მით, რომ აქაოდა აქა-იქა ვენახები დაისეტყვაო, ხელზე დაიხვევენ დასეტყვილიაო და დაუსეტყვავსაც ნახევარ ფასად, მუქთად ყიდულობენ. გიხაროდეთ ცხინვალელო გმირებო.

შხამიანი.

—

დ. სურამი. მთელი სურამი აადელვა და ფეხზედ დააყენა მეტად საზარელმა, საზიზღარმა და თავხედმა თავდასხმამ და მკვლელობამ, რომელიც მოხდა ივნისის 26, საღამოს, სურამში, ურიების უბანში.

სურამში სცხოვრობს ქართლში ცნობილი მდიდარი ებრაელი ისრაელ თანურიშვილი. აი ამ ებრაელის ოჯახს დაესხა თავს საღამოს შვიდ—რვა საათზედ რამდენიმე თავზედ ხელ-აღებული ავაზაკი, მოჰკლეს ისრაელის ვაჟი, მძიმედ დასჭრეს თვითონ ისრაელი, მისი ორი რძალი და მეზობელი. 26, საღამოს, როდესაც ზოგნი ისევ სახლში ისხდნენ, ზოგნი ქუჩაში სეირნობდნენ, ზოგნიც „პარკში“ მუსიკას ისმენდნენ, უცებ გაისმა ხმა,—ებრაელებსა ხოცავენო. შეიქმნა ხალხის ჩოჩქოლი, ყველა სცდილობდა შეეტყო, რამ იყო საქმე, მაგრამ მართლის მთქმელი არავინ იყო. ისმოდა მხოლოდ,—ისრაელას ოჯახი ამოჰხოცესო. ამ დროს ურიებიც გამოცვივდნენ დიდ ქუჩაში და მორთეს ყვირილი,—გვიშველეთ, გვხოცავენო. რა-კი სურამში სტრაჟნიკები არ არიან, აფრინეს კაცი „ადგილობრივ კამანდასთან“. ამასობაში ყაჩაღებიც მიიმალნენ.

საქმე ასე მოხდა, როგორც განაცხადა ისრაელ თანურიშვილმა: ოც-და-ექვს, საღამოს, იგი ხაშურიდგან მოსულა სახლში. შვილისთვის უთქვამს, ფეხს გამხადეო. ერთი ფეხი რომ გაუხდია, რაღაც ხმაურობა შემოსმიათ, თანაც თოფის სროლა ატეხილა. ქალებს დაუძახნიათ,—არიქა, ყაჩაღებიო! ისრაელა კარებსა სცემია, სდომებია ჩაკეტა, მაგრამ ვეღარ მოუსწრია; ერთი ყაჩაღი ფანჯრიდან შევარდნილა, სამიც კარებიდან. ერთს თოფი დაუხლია თავში. ისრაელა შებრძოლებია ერთერთს, ამ დროს დანარჩენებს ხელში დაუჭრიათ. ერთი შვილი და ცოლი დამალულან, რძლები-კი წაშველებიან მამამთილს, ამისათვის რძლებიც დაუჭრიათ.

ამ დროსვე გარედ მდგარან ორნი ავაზაკნი, რომ არავინ მიშველებოდათ. ისრაელას შვილს, შალიკოს, 19—20 წლის ვაჟს, გაეგო, თუ არა ეს ამბავი, გაქცეულიყო საშველად, მაგრამ, როგორც-კი ასულიყო კიბეზედ, მაშინვე მოეკლათ თოფით. ამავე დროს ეზოზედ გაევლო მეზობელს, ისიც დაეჭრათ ტყვიით. გარედ მყოფნი რომ თოფებს ისროდნენ, შიგნით ოთხნი სკივრებსა და კამოდს ამტვრევდნენ, საიდანაც 500—600 თუმნის ძვირფასი ოქრო-ვერცხლის ნივთები ამოალაგეს, შეკრეს და გაცვივდნენ.

სასიკვდილოდ დაჭრილი ისრაელ სამხედრო ლაზარეთში წაიყვანეს. მან განუცხადა პოლიციას,—ერთ-ერთი ავაზაკი ვიცანი, ხაშურში ოქრომჭედელი ლეკიაო. იმ ღამესვე ექვსი ლეკი დაატუსაღეს ხაშურში. ამათში სამი იცნეს ისრაელმა და მისმა რძლებმა.

ძნელი ასაწერია ის სურათი, რომელსაც წარმოადგენს ისრაელის ოჯახი. საბრალო მამამ არ იცის, რომ საუკეთესო შვილი მოუკლეს, მნახველებს თურმე ეხვეწება, კარგად მოუარეთ, არ მოკვდესო. ექიმებს იმედი აქვთ ისრაელას მორჩენისა. ეს ლეკები კარგად იცნობდნენ თურმე ისრაელს და მის ოჯახს, ხშირად დაიარებოდნენ მასთან, ფულებსა სესხულობდნენ. ერთ მათგანს ეხლაც ჰმართებს, როგორც ამბობენ—300 მ.

ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ აქ შურის ძიება არის, ეს ლეკები მოსყიდულნი იყვნენო. ასე, თუ ისე, ძალიან საზიზღრობა და საცოდაობა დატრიალდა.

მეორე დღესვე მოვიდა გორის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი გოგოხია. იმედია, ბ-ნი გოგოხია, როგორც გამოცდილი პოლიციელი, აქაც არ დაიშურებს შრომას და მხნეობას და მალე აღმოაჩენს დანარჩენ დამნაშავეთაც, რომელნიც ლეკებთან ერთად მოქმედებდნენ.

ბ-ნმა გოგოხიამ აღუთქვა სურამლებს, დღეიდან 5 სტრაჟნიკი მუდმივ იქნება სურამშიო.

ამ ავაზაკობამ ბევრი მოქალაქე შეაფიქრა. ზოგნი კიდევაც წასულან, როგორც ამბობენ. ესღა უნდოდათ გულხედ-დაკრეფილ სურამლებს, რომელთაც ნახევრად დარჩათ „დაჩები“ გაუქირავებელი.

ვასო ჯაფარიძე.

კავკასია

ს. სარიყამიში (ყარსის ოლქი). ეს სოფელი ყარსზე მოშორებულია 57 ვერსით. მდებარეობა მთა-გორიანია და ნაძვნარი ტყე აქვს შემოკრული, რაიც აძლევს ცოტაოდენ სიცოცხლეს ამ მიყრუებულ სოფელს. ყარსიდან სარიყამიშამდე ეტლებ- დილიჟანებ-ომნიბუსები დაიარებიან. საერთოდ სარიყამიშის ბუნება სასტიკია ხანგრძლივი ზამთრით და ყინვებით. ზამთარი 7 თვეს გასტანს და ყინვა-კი 25°-ადის. თუ ზამთარი ალონებს მცხოვრებლებს და სასოწარკვეთილებაში შეჰყავს,

ფილეტონი

მაძღარნი და მშიერნი.

(სოფლის ცხოვრებიდგან).

III *)

რადგანაც მთვარე წინააღმდეგ ჩვენის ცხოვრების წესწყობილებისა ანათებს განურჩევლად, როგორც მდიდარ ისე ღარიბისათვის, ამიტომ მან გაანათა ქვრივი მარიამის სახლიც. გაშავებული, ხავს-მოკიდებული ყავარი, ბზე არეული ტალახით შეთითხნილი კედლები, გამონგრეული, უკიროდ აშენებული ქვის საძირკველი და რამდენსამე ალაგას პურის ცომით გაზეთ გაკრული ფანჯარა აშკარად იხატებოდა. მოტვლეპილ, უსწორ-მასწორო ანწლებით სავსე ნიადაგზე. სახლის ჩამოღალმა თავმოგლეჯილი უკარო საბძელი ისე გამოიყურებოდა, გეგონებოდათ რაღაცა მხეცი პირქვე გდია და ყველას ჩაყლაპვა უნდაო. სახლსა და საბძელ შუა იდგა საცოდავად ბეღელი, რომელსაც ჰქონდა სამი არშინი სიგანე, ოთხი სიგრძე და ამდენივე სიმაღლე. ეს იყო ბეღელიც, რადგან შიგ ერთი ორი თვით შემოდგომაზე იყრებოდა რამდენიმე კოდი პური, ბოსელიც, რადგან მის ბოძზე იყო მიბმული გამხმარი გაქეციანებული ხბო, სათონეც,—რადგან გვერდზე ჩაგდებული ჰქონდა რამდენიმე ალაგას გამსკდარი თონე და ძარიც,—რადგან ერდოში ეყარა რამდენიმე ტარო სიმინდი. ყველა ეს შენობები, ეს სოფლელ მცხოვრების მოწყობილობა ეკუთვნოდა ალექსანდრე ბამბურიძის ძმის წულის ოჯახს, ქვრივს მარიამ ბამბურიძისას თავისის ოთხი ქორფა შვილით, რომლებშიაც უფროსი შვიდი წლისა იყო.

მარიამის სახლში სიჩუმეა. ოთახში არაფერი ანთია. მაგრამ მთვარის სინათლეზედ კაცი გაარჩევს ყველაფერს ოთახში. ვიწრო და გრძელ ტახტზედ წევს მარიამი თავის პატარა ორი წლის ქალით; ფეხთით უწვანან ზურგშექცეულები ორი შუათანა ვაჟი, ერთი სამ წლის ნახევრისა, მეორე ხუთისა; უფროსი ვაჟი-კი ძველს, დაფხრეწილ და ჩამტვრეულ ალექსანდრეს ცოლის ნაბოძებ „კუშეტკაზედ“, მათ პირდაპირ. ზეწარი და ბალიშის პირი ჩაყვითლებული დროზე გაურეცხავობის გამო აქვს გადაფარებული მხოლოდ დედის ლოგინს, შვილებს თავი უძევთ წითელ ჩითიან ბალიშებზედ და ხურავთ დაგლეჯილი საბანი, საიდგანაც მატყლი თეთრად გამოიყურება. დედის და უფროს ვაჟის საწოლებ შუა სდგას უბრალო მაგიდა, ზედ აფარია ალაგ-ალაგ მელან გადასხმული სუფრა. მაგიდაზედ სდგას პატარა ყუთი, ზედ აწყვია დაკეცილი და დალაგებული მარიამის თავის სამკაული: ლეჩაქი, ჩიხტი-კოპი და გულის პირი. ყუთზედ მიყუდებულია გატეხილი უჩარჩო დაფხაჭნილი სარკე, იქვე ძევს კბილებ ჩატეხილი სავარცხელი და ჭიქით წყალი; კუთხეში ბნელად გამოიყურება ძველებური ბუხარი, რომელზედაც გაარჩევთ როდინს, როდინის ქვას, ორფეხა ზედადგარს, ერთს გაჭვარტლულ ქვაბს და ყურ-მოტეხილ ქოთანს. ამ ოთახის მოწყობილობას ამთავრებდა სამი შუაში ჩაგლეჯილი და ჩაზნექილი სკამი.

ბავშვებს სძინავს. არ სძინავს მხოლოდ დედას თავ-ქვეშ ხელებ ამოდებული მისჩერებია ერთს წერტილს მარიამი და წასულა მწარე ფიქრებში. ეს ერთი საათია, რაც მარიამმა ჩააძინა შვილები. ბევრი იტირეს: პური გვშიანო. ჩაი კი დაალევინა დედამ, მაგრამ უპუროდ. ბევრი ირბინა, უფროსი შვილიც არბევინა მეზობლებში, მაგრამ ყველგან ერთი პასუხი მიიღო: სამსეთა გვაქვს, თორემ როგორ დავიჭერდითო. ალექსანდრიანთაც იყო პურის სათხოვნელად, მაგრამ იქ ყური არავინ ათხოვა, ყველა ფაცი-ფუცში და მზადებაში იყო გართული, თუმც პური ბევრი ჰქონდათ და ბევრჯელაც შეუბრალებიათ მარიამი ალექსანდრეს მოსამსახურეებს ბატონისა და ქალბატონის დაუკითხავად. გლეხკაცებშიაც გაგზავნა შვილი მჭადზედ, მაგრამ ერთმა აშარმა დედაკაცმა დაუტატანა ბავშვს: მამეწყინება, რამდენიც თქვენ მოგშივდეთ, მე გაგაძღოთ!... ჯერ რაც წაგიღიათ, ის მოიტანეთ და მერე კიდევ მიირთვითო.

ამ გლეხი დედაკაცის ნათქვამმა, რომელიც სიტყვა-სიტყვით მოუტანა დედას მტირალმა ბავშვმა, გული ჩასწყვიტა მარიამს. მეტი ღონე არ იყო, ეს ღამე ბავშვებს უპუროდ უნდა გაეტარებინათ, ორ-ორი ჭიქა ჩაი დაალევინა დედამ შვილებს, ეგები ამითი დაკმაყოფილდნენო, მაგრამ ცხელმა წყალმა უფრო მოაშია ისინი. ბევრი იტირეს, ბევრი იძახეს—პური, პურიო—მაგრამ დედამ ზოგი ალერსით, ზოგი ტუქსვით, ბოლოს ზღაპრებით, როგორც იყო ჩააძინა შვილები.

ჩააძინა მაგრამ ერთი ფიქრი არ აძინებს საბრალო დედას: ღამე რომ გამოიღვიძონ შვილებმა და ასტყდნენ,—პური გვშიანო,— რა ჰქნას? სად გადავარდეს? სად უშოვნოს პური? ეს ფიქრი არ ეშვება მარიამს, და სულ განაბული უგდებს ყურს შვილების მშვიდ სუნთქვას.

გასათხოვრობისას მარიამი იყო ლამაზი, კოხტა, მოხდენილი და დედ-მამის ნებიერი. მთხოვნელი ბევრი ჰყავდა, კარგი ყმაწვილებიც და კარგი შეძლებულნიც, მაგრამ ზოგს დედ-მამა იწუნებდა, ზოგს თვითონ მარიამი. ბევრი მაშვალი გააბრუნეს, ბევრს ყმაწვილს ჩაუთუთქეს გული, ბევრს ნიშანიც დაუბრუნეს, ბოლოს ერთმა გამწარებულმა მაშუალმა მრისხანეთ უთხრა მარიამს და მის დედ-მამას: განაზეთ ძალიან, დაიწუნეთ ყველანი, თქვენმა მზემ, ვანო ბამბურიძე დაგესიძებათო!“ ეს სიტყვები გულში ჩარჩათ მარიამსაც და დედმამასაც. ვინ არის ეს ვანო ბამბურიძე, ეკითხებოდნენ, ვისაც კი შეხვდებოდნენ. ზოგმა რა უთხრა, ზოგმა რა და ბოლოს დაბეჯითებით გაიგეს, რომ ვანო იყო ძმის წული ალექსანდრე ბამბურიძისა, რომლის სახელი და შეძლება მთელს მაზრაში გავარდნილ იყო. გაიგეს ისიც, რომ ბიძა-ძმის წულები გაუყრელები იყვნენ და ვანო ბამბურიძეს წილად ხვდებოდა მესამედი მთელის ბამბურიძეების მამულისა, რომელიც შეადგენდა ორი ათასზედ მეტს დღიურს მთა და ბარს. ამას გარდა მარიამმა ჩუმად ყური მოჰკრა, რომ ვანო იყო ყმაწვილი, ლამაზი, კარგი თვალ-ტანადი, მოქეიფე და ყველა საზოგადოებაში მიღებული კაცი. ამის შემდეგ არც დედ-მამას და არც მარიამს დღე და ღამ მოსვენება არ ჰქონიათ, სიზმარშიაც კი ჰხედავდნენ და სულ იმის ნატვრაში იყვნენ: ნეტავი თვალით გვაჩვენა და სხვა არაფერი გვინდაო!

ეს ნატვრა მალე შეუსრულდათ. გერისთობას ნახეს ვანო. გაიცნეს, სახლში გამოიპატიჟეს, მოუწვიეს აუარებელი სტუმარი, აქეიფეს ერთი კვირა და გაისტუმრეს სახლში დანიშნული მარიამზედ. არ გასულა ერთი თვე რომ ვანომ და მარიამმა ჯვარი გადიწერეს. ქორწილი დიდი გადაიხადეს, დიდი სიხარული, დიდი მხიარულობა, ბევრი მილოცვა მნახველებისა. და ვანომ ყმაწვილი, საყვარელი ცოლი თავის სამშობლოში წამოიყვანა, სადაც თავის მხრივ დიდ ქორწილის გადახდას აპირებდა, მაგრამ... აქედგან იწყობა უბედური ცხოვრება და ტანჯვა მარიამისა.

ბიძა ალექსანდრე ძალიან გაუწყრა ვანოს, ჩემს დაუკითხავათ ცოლი რად შეირთო, საერთო სახლში არ შეუშვა და არც ინახულა ახალი ცოლ-ქმარი. ვანო იძულებული გახდა ცალკე ეცხოვრა და, სანამ სახლებს გაიკეთებდა, დადგა ძველი კარავი და შეიყვანა შიგ ყმაწვილი ცოლი.—კარავი იყო ვიწრო, მოუთავსებელი, წვიმა თავზედ დასდიოდათ, ქარი ხან ერთ კუთხეს მოჰგლეჯდა, ხან მეორეს, მაგრამ ცოლ-ქმარს უყვარდათ ერთმანეთი და არაფერს გაჭირვებას აინუნში არ იგებდნენ.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, რომლის განმავლობაში ბამბურიძეებში ასტყდა დავი-დარაბა მამულისთაობაზე. ალექსანდრეს თავის ძმისწულისათვის არ უნდოდა მამულიდგან წილი მიეცა. ძმისწულებს უნდოდათ გაყრა და თავის წილის გატანა. ვერ მორიგდნენ, ვერ შეთანხმდნენ,გაჩნდა ძალაობა, ტაცობა, თავ-პირის მტვრევა,სისხლის ღვრა და საჩივრები. ვანო იდგა შუაში. ბიძა თავისკენ ეწეოდა, ბიძაშვილები თავისკენ. იმას, როგორც ხათრიანს კაცს, არ უნდოდა არც ბიძის წყენა, არც ბიძაშვილებისა და უცდიდა იმ დროს, როცა დამშვიდდებოდნენ, მორიგდებოდნენ და მამულს თანასწორად გაიყოფდნენ. მამულის გაყოფა-კი ჯერ შორს იყო.

ვანო მამულით ვერ სარგებლობდა, რადგან ერთსაც და მეორესაც ჰყავდათ მთელი ბრბო ჩიჩნებისა, ოსებისა და თითრების და ვანოს მამულის შემოსავლიდგან არაფერს არ ატანდნენ.

ასეთს გაჭირვებაში იყო მარიამი ექვს წელიწადს, რომლის განმავლობაში მას დაეხვა წვრილ-შვილი, ცუდს ცხოვრებაში ყოველ დღიურ მწარე ფიქრებში:—დღეს რა ვჭამო, ხვალ რა ვჭამო.—სიყვარული ქმრისადმი გაჰქრა და მარიამი მთელ თავის დროს ატარებდა ცრემლებსა და გოდებაში საცოდავი ვა-

---

*) იხ. „ივერია“, № 136.

*) იხ. „ივერია“, № 140.

სამაგიეროდ, ზაფხულია მათი მანუგეშებელი დრო, როდესაც მინდორ-ველები, ყვავილებით ამწვანებული და ფრინველების ჟივილ-ხივილი ადამიანს ამხიარულებს, ავიწყებს წარსულ ზამთარს და მით ძალას უმატებს საშრომოთ. ეს მხარე მაღალია, 7500 ფუტი სიმაღლე აქვს და ზაფხულობით მშვენიერ საგარაკო ადგილს წარმოადგენს; თითქმის კავკასიაში სხვა საგარაკო ადგილებზე უმჯობესია, მით უფრო, რომ გარდა მსუბუქ-მჩატე წმიდა ჰაერისა, აქვე არის ბუნებითი მჟავე წყლები, რომელიც არჩენს კუჭის და მუცლის ტკივილებს (катаръ желудка); ჰაერი ძრიელ ამაგრებს ძალამიხდილს, სუსტი გულის, სისხლ-ნაკლულ და ნერვებიან ადამიანებს. გასაკვირია, რომ აქ საზაფხულოდ კავკასიის ქალაქებიდან არავინ მოდიან (იქნებ არც კი ჰქონდეთ წარმოდგენა ამ მხარეზე) და რუსეთიდან-კი ექიმები გზავნიან ჭლექით ავათმყოფებს. ყარსიდამ სარიყამიში მისვლა 3 მან. ჯდება და თუ მგზავრები არიან. მაშინ თითოს მანეთი დაუჯდება, აქვე იშოვება იაფფასში გასაქირავებელი სახლები და ყველაზე უსაჭიროესი, სანოვაგე კარგი ხარისხის და იაფია.

მცხოვრებთა უმთავრეს ნაწილს სომხები შეადგენენ, რომლებიც განსაკუთრებით ვაჭრობენ, შემდეგ ლეკები, ოსები, ბერძნები; მკვიდრთაგანი ქართველები არ არიან, გარდა სამსახურში მყოფისა და რამოდენიმე დღიური მუშისა. სომხებს გარდა ყველანი მიწის მუშაობას მისდევენ; თესვენ მხოლოდ პურს და ქერს; მისდევენ მეჯოგეობას და ბლომათ შემოაქვთ ბაზარში ყველი, მაწონი, კარაქი, ერბო, რძე, კვერცხი, ფრინველები და სხვა. ზემოთ ვთქვი, რომ სანოვაგე იაფია-მეთქი და მართლაც დ. სურამზე, ბორჯომზე და კოჯორზე შედარებით აქ ჰავაც უკეთესია და სანოვაგეც ბევრათ იაფი; ამ მხრივ მეჰარესთვინ, ვინც მართლა ავად არის, გარდა არა ავადმყოფებ-მდიდრებთა, აქ უმჯობესია მათთვინ და იაფადაც გამოვლენ...

— გარდა იმ პოლკებისა, რომლებიც ზაფხულობით ჩამოდიან, მუდამ იმყოფება ელისავეტპოლის პოლკი, ყაზახთა ერთი ბატარეია და საზღვრის დარაჯთა (პოგრანიჩნი სტრაჟა). რაც შეეხება გასართობებს, ხშირად იმართება სამხედრო დარბაზში კონცერტ წარმოდგენები, რომელზედაც ყველას შეუძლია დაესწროს; აქვე არის „ამირაჯიბის" პარკი, მშვენივრად მოკენჭულ სასეირო ბილიკებით და დასასვენებელ სკამებით. ერთი სიტყვით თვით ბუნება და ნაძვის სუნი აცხოველებს ადამიანის ორგანიზმს.

დაწესებულებათა შორის, არის ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, სალანლუღის ნაწილს მმართველობა და ფოსტის კონტორა, რომელიც მოთავსებულია ისეთ შენობაში, რომ ფაცხას მოგაგონებს: დაბალი, ბნელი და ჰაერ დახშული. ფოშტა მოდის აქ კვირაში სამჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, აქედან მიდის ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. ფოშტის მოსვლის დღეს კონტორაში აღარ არის ხალხის ტევა, ყველა წერილის მოლოდინშია და არის ერთი შეჯახ-შემოჯახება სივიწროვის გამო. სასურველია ყურადღება მიაქციოს ვისაც ჯერს არს ფოსტის უკეთეს შენობის აგებას!

ჯერ ბევრი რამ სჭირია სარიყამიშს, ამ ბნელით მოსილ მხარეს: ქალების სკოლა, სამკითხველო და სხვა; დღეს თუმცა შეუმჩნეველია ეს სოფელი ურკინის გზობით, მაგრამ ადრე თუ გვიან ყველას ყურადღებას მიიპყრობს კარგი ჰაერით, მჟავე წყლებით და მადნეულებით.

დ. ქარცივაძე.

რუსეთი

ამ დღეებში ხარკოვის ოლქის სასამართლოს სესსიამ ქ. მარიუპოლში განიხილა საქმე მარიუპოლის ციხის უფროსად ნამყოფის იაკობიშვილისა, რომელსაც სამსახურის შესრულების დროს კანონის წინააღმდეგ მოქმედება და ციხის წესდების ინსტრუქციის აღუსრულებლობა ჰბრალდებოდა.

იაკობიშვილი თურმე პატიმრებს მისდამი რწმუნებულ ციხიდგან ნება-დართულ სამუშაოებზედ თავისუფალ ტანისამოსში გამოწყობილთ უშვებდა და არც ციხის ზედამხედველს გააყოლებდა ხოლმე თან. სასამართლომ დამნაშავედ იცნო იაკობაშვილი და დაადგინა შენიშვნა გამოუცხადოს.

— მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზამ ამ ახლო ხანებში დაურიგა ამ გზაზე მიმოსვლის საზაფხულო წესები რუსეთის იმპერიის ყველა რკინის გზებსა, დაწესებულებებსა და კერძო სამსახურის პირთ. დარიგების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დაბეჭდილ მიმოსვლის წესებში აუარებელი შეცდომები ყოფილა და იმითი სარგებლობა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამის გამო ამ რკინის გზის უფროსმა ბ-ნმა კუზმენკომ, როგორც „Русское Слово" გადმოგვცემს, შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა მოძრაობის უფროსს თავ. ენგალიჩევს:

„გთხოვთ მაცნობოთ, ვინ არის დამნაშავე, რომ ამდენი შეცდომებია ამა წლის 18 აპრილიდგან გამოცემულ მატარებლების საზაფხულო მიმოსვლის დაბეჭდილს წესებში; ამნაირი შეცდომების მაგალითი ჯერ არ ყოფილა და არც არავის უნახავს. ამ წესებით სარგებლობა მგზავრთათვის ყოვლად შეუძლებელიაო".

მიიღო რა ამნაირი შეკითხვა რკინის გზის უფოსისაგან, მოძრაობის უფროსმა განკარგულება მოახდინა გადაეთვალიერებინათ მიმოსვლის წესები და ენახათ, თუ რა შეცდომები იყო შიგ. გადაათვალიერეს და იპოვნეს კიდეც. ეს შეცდომები შეადგენდა 27 დაბეჭდილ გვერდს!!.

მატარებლების დაჯახება-დამსხვრევაში დამნაშავედ მეისრენი აღმოჩნდებიან ხოლმე და აქაც ამნაირმა გარემოებამ იჩინა თავი: „დამნაშავე" ამ შეცდომებში აღმოჩნდა „კონტორშჩიკი", რომელსაც თვეში მხოლოდ 25 მანეთი ეძლევა. ამას ნათლად ამტკიცებს რკინის გზის უფროსის კანცელარიის სამსახურის უფროსის მოხსენება:

„მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ რადგანაც მოძრაობის სამსახურის სატეხნიკო განყოფილების გამგე სამსახურიდან დროებით განთავისუფლებულ იქმნა და საგარაკოდ წავიდა, მისი თანაშემწე-კი კიევში იქმნა გადაყვანილი, კორექტურას ასწორებდა „კონტორშჩიკი", რომელსაც გაუშვია ასე მძიმე და პასუხ საგები შეცდომები".

მგზავრები-კი მაინც იძულებული არიან იხელმძღვანელონ ამ მიმოსვლის წესებით, რომელშიაც დაბეჭდილი 27 გვერდი შეცდომებია!!.

— ბელგოროდში (კურსკის გუბერნია) შემდეგი მხეცური საქმე ჩაიდინა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ადგილობრივ ოლქის სასამართლოს სამაზრო წევრის ბ-ნ ფლოკის შვილმა. ამ „განათლებულმა" ვაჟბაცონმა რევოლვერი ესროლა გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფეს ბ-ნ ბეზელს. საქმე ასე ყოფილა: ფლოკი შეხვდა თურმე ქუჩაში გიმნაზიის მოწაფეთა ჯგუფს და სამი საჟენის სიშორიდან შეჰყვირა.

— გზიდგან ჩამომეცალეთ, ღორებო!

ერთმა გიმნაზიის მოწაფეთაგანმა, ბ. ბეზელმა, არ გადუხვია გზიდგან. ფლოკმა ამოიღო რევოლვერი და ესროლა „მოწინააღმდეგეს". ტყვიამ, ბედნიერ შემთხვევის წყალობით, ტანისამოსში გაუარა და ბ. ბეზელი უვნებლად გადარჩა.

რამდენისამე დღის წინად ამ ამბავის მოხდენამდე ამავე სტუდენტმა ფლოკმა, საზოგადო ბაღში მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა საგუბერნიო საერობო სტატისტიკოს ბ-ნს სუსტაიკინს. სტუდენტმა ესე მძიმედ დასჭრა იგი თავში, რომ ექიმების შემოწმებით ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა. საქმემ სასამართლოს გამომძიებლამდე მიაღწია.

ფლოკის მამამ სთხოვა ბ-ნს სუსტაიკინს, მორიგებით გაეთავებინათ საქმე. სუსტაიკინი დასთანხმდა და შემდეგი საოცარი პირობა დაუდო: „რადგანაც მომავალში უნივერსიტის გათავების შემდეგ, სტუდენტ ფლოკს შეეძლება თვალ-საჩინო ადგილი დაიჭიროს და ამით შეურაცხყოს საზოგადო მოღვაწის მაღალი სახელი, ამიტომ პირობა მომეცით, რომ სამუდამოდ უარჰყოს ფიქრი რომელიმე უმაღლეს სასწავლებლის გათავების შესახებაო". აი ასეთი პირობა დაუდო ბ-ნმა სუსტაიკინმა ფლოკის მამას. შერიგება არ მოხერხდა, რადგან მამამ ეს პირობა არ მიიღო. ამგვარად საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს გასარჩევად. ყველანი მოუთმენლად ელიან, თუ როგორ მსჯავრს დასდებს სტუდენტ ფლოკის საქციელს მართლმსაჯულება.

უცხოეთი

სერბია. პეტრე მეფის მახლობელ დიპლომატს საუბარი ჰქონია ერთ კორესპონდენტთან სერბიისა და ავსტრიის ურთიერთობის შესახებ. დიპლომატს უთქვამს:—პირადს თანაგრძნობას, ან სიძულვილს არავითარი გავლენა არა აქვს პოლიტიკაზედ. ავსტრიას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგან უახლობელესი მეზობელია და სამის მხრით საზღვრავს სერბიას. მთელის საქონლის გზა, როგორც შემოსაზიდის, ისე გასაზიდისა, ავსტრიაზედა გვაქვს ჩვენ პირდაპირი დამოკიდებულება, გვაქვს ავსტრიის რკინის გზებთან, რომელიც ეზიდება ჩვენს საქონელს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ღორების გაზიდვას, რადგან ესაა უმთავრესი წყარო სერბიის მეურნეთათვის. ავსტრიისაგანვე ვშოულობთ საჭირო თანხას მრეწველობისა და ვაჭრობის გასაძლიერებლად. აი, რატომ არ შეუძლია სერბიას მტრულად მოეპყრას ავსტრიას: იგი იძულებულია ანგარიში არ გაუწიოს ძლიერ მეზობლის მოთხოვნილებას.

ავსტრია-უნგრეთი. რადგან ინგლისურ გაზ. „სტანდ."-მა ხმა დაჰყარა, ვითომ ავსტრიის იმპერატორ ფრანც-იოსებს განზრახვა აქვს ხელი აიღოს მეფობაზედაო, ვენის უმაღლეს წრეებში ეხლა იგონებენ ამ რამდენისამე კვირის წინად იმპერატორის მიერ ნათქვამ სიტყვებს.

— ხმები, ვითომ მე ტახტზედ ხელს ვიღებდე, ისე ხშირად ისმის ამ უკანასკნელ ხანებში, რომ საფიქრებელია ვინმე მოწადინებული იყოს ამ ხმების გამართლებას... მაგრამ ამ „ვისმე"-ს ვერ ვასიამოვნებ ამგვარ უარყოფათაო.

ეჭვს გარეშეა, რომ იმპერატორზედ დიდად იმოქმედა უნგრეთის უკანასკნელმა ამბებმა. მაგრამ, როგორც უმაღლეს წრეებში ჰგონებენ, თუ იმპერატორმა მართლა განიზრახა თავისი უკანასკნელი დღენი მყუდროობაში გაატაროს, პოლიტიკურ მღელვარების გარეშე, იგი უფრო მშვიდობიანს დროს აირჩევს ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად და არ ინებებს სახელმწიფო საქმეებს ასეთ გაჭირვების დროს შეუშვას ხელიო.

გერმანია. გაზ. „ბერ ტაგებ."-ში პოლკოვნიკი ჰედკე ეხება გერმანიის მხედრობის გაძლიერების პროექტს, განსაკუთრებით, ამ ახალ ჯარების რუსეთის საზღვრებზე დაბინავებას, და არ მოსწონს მთავრობის განზრახვა, რადგან უსაფუძვლოდ მიაჩნია ეს ღონისძიება. გარდა ამისა საჭიროდ არა სცნობს ცხენოსან ჯარის გამრავლებას, მხოლოდ იმ სიფრთხილით, რომ საფრანგეთი აძლიერებს ცხენოსან ჯარებსაო:

როგორც პროექტი ამბობს, რუსეთის საზღვრებზე მთელ ახალი კორპუსის ჩაყენებას აპირობს გერმანიის მთავრობა.

ინგლისი. საფრანგეთის პრეზიდენტ ლუბეს ინგლისში მოგზაურობის გამო ედუარდ მეფეს განუზრახავს ახალი ორდენი დაარსოს. ამ ორდენს უპირველეს ყოვლისა ლუბე მიიღებს. ამგვარ ორდენის დაარსების მიზეზი ის გახლავთ, რომ, თანახმად ინგლისის უმაღლეს—„შეხმევის" ორდენის სტატუტისა, ამ უკანასკნელ ორდენის მიცემა არ შეიძლება საზღვარ გარეთელ არა-გვირგვინოსანთათვის.

ოსმალეთი. ოსმალეთსაცა და ბულგარიასაც ერთი ციებ-ცხელება შეუდგათ; ორივე სახელმწიფო დიდს მზადებაში არიან, მაგრამ მაინც ცდილობენ თავი გაიმართლონ ევროპის დიდ სახელმწიფოთა წინაშე და თავიანთ ჯარების შეიარაღებას მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან საომრად მზადებით ჰხსნიან. ოსმალეთიცა და ბულგარიაც ორივე ერთნაირად უფრთხიან თავის თავზედ პასუხის გების მიღებას ომის გამოცხადების გამო. ასე რომ შესაძლებელია ომი ისე დაიწყოს, რომ არავინ იცოდეს, პირველმა ვინ გაისროლა ზარბაზანი და ვინ იყო მიზეზი ომის დაწყებისა.

თეატრი და ხელოვნება

თელავი. რაც გაზაფხულდა თელავში თითქმის არც ერთი სახალხო წარმოდგენა არ ყოფილა. ამაში აქაურ სცენის მოყვარულნი გასამტყუნარნი რა არიან. რადგანაც ერთად ერთი ბინა, სადაც სახალხო წარმოდგენები იმართებოდა, იყო სომეხთა თეატრის შენობა და ისიც ბ-ნმა ბეჟან აჯამამულოვმა და იმისმა დისმა დაიჭირა მთელის ზაფხულით. თვითონ ბ. აჯამამულოვი-კი ტფილისს წავიდა, ვითომ და იმ განზრახვით, რომ სათავად-აზნაურო თეატრის რამდენიმე არტისტი მოეყვანა და თელავში ემართა სახალხო წარმოდგენები, მაგრამ ჯერ არსადა სჩანან, არც ბ. აჯამამულოვი და არც არტისტები.

ეხლა რა-კი იმედი გადასწყვიტეს თელაველებმა, რომ ისინი ამ ზაფხულ სახალხო წარმოდგენას ვერ ეღირსებიან.—შინაურ წარმოდგენებს მიჰყვეს ხელი. პირველი მაგალით უჩვენეს ბ. კ. ონიკაშვილმა და ნ. იაგოროვმა. ამ თვის 24-ს ბ. ნიკოლოზ იაგოროვის გამგეობით ბ. კოტე ონიკაშვილის სახლებში გამართულ იქმნა შინაური წარმოდგენა. წარმოადგინეს „ადვოკატი მელაძე" და „წყლის მზორს" ა. ცაგარელისა.

რა გაიგეს თელაველებმა, წარმოდგენა არისო, როგორც მწყურვალი—წყლისაკენ, ისე მიეშურებოდნენ იქით, სადაც წარმოდგენა უნდა გამართულიყო. მართლაც იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ არც ერთი ცარიელი ადგილი არ დარჩენილა; რაც-კი შეეფერებოდა შინაურ წარმოდგენას, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ყველამ თავისი როლი კარგად იცოდა და წესიერადაც შეასრულა. ნამეტნავად ბევრი აცინეს ხალხი ბ. კ. ონიკაშვილმა და ალ. ანაგელმა. წარმოდგენა გათავდა ღამის 12 საათზე. შემდეგ გაიმართა ცეკვა, მოწვეულნი იყვნენ დამკვრელები, ამან უფრო გაახარა დამსწრენი. საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა ბ. კ. ონიკაშვილს და ბ. ნ. იაგოროვს და სთხოვა რომ ხშირად გამართონ ხოლმე შინაური წარმოდგენები. წახალისებულებმა სხვათაც განიზრახეს შინაური წარმოდგენების გამართვა.

გურჯი.

ნარკვევი

ბ-ნ პალმის გაზეთში დრო-გამოშვებით „ხელის-ხელ საცოგმანებელ" მარგალიტებს შეხვდება ხოლმე მკითხველი. დღევანდელ „Черн. Вѣст."-ის ნომერშიაც მოიძებნება ამგვარი მარგალიტი, სახელდობრ ქ. სოხუმი-

---

ნო წლებზედ ფეხს იდგამდა, წვალობდა, მხნეობდა და ლუკმა პურს არ უწყვეტავდა თავის ძვირფასს ცოლ-შვილს, მაგრამ ერთს საღამოს ქალაქიდგან დაბრუნდა გაციებული, ჩაწვა ლოგინში და აღარ ამდგარა.

— მარიამ... ნუ გეშინიან... მალე გაიყოფენ... გეყოფა საცხოვრებლად, ყოჩაღათ იყავი... შვილებს კარგა მოუარე.

ასე ამშვიდებდა სიკვდილის დროს ვანო თავის მტირალს ცოლს.

გავიდა ერთი წელიწადი ვანოს სიკვდილის შემდეგ. მარიამს ეღირსა ბამბურიძეების მამულის გაყოფა... მაგრამ ბიძა-ბიძაშვილებმა გაჰყვეს მამული ორ ნაწილად და ვანოს ოჯახობა დასტოვეს უმამულოთ, უნუგეშოთ, ულუკმა პუროთ.

მარიამს თავზარი დაეცა:

— რას მიშვრებით, რაზედ მღუპავთ?.. რაზედ სჭრით ჩემს ქორფა შვილებს ყელებს?.. მითხარით რა ვასვა, რა ვაჭამო, რა ჩავაცვა, რა დავხურო?!.—დარბოდა ერთიდან მეორესთან თმა-გაწეწილი გაშმაგებული დედა.

— მიდი და შენს მამამთილს უთხარი,—ეუბნებოდნენ მაზლები, ის ერთია, ჩვენ-კი კიდევ ოთხად უნდა გავყოთ მამულიო.

— წადი და შენს მაზლებს უთხარი,—უპასუხებდა ალექსანდრე,—რაც მე ავიღე, ორი იმდენი იმათ წაიღეს!

—დაიცა პატარა,—ამშვიდებდნენ გამწარებულს მარიამს გულშემატკივარნი,—ეხლა ერთი განხეთქებაა მაგათში, როცა ყველა თავ-თავის წილის მფლობელობაში შევა, არ შეიძლება რომ არაფერი არ მოგცენ რა.

— როგორ მოხდა ეს? რატომ ჩემს შვილებს არ მისცეს წილი? ჩემი მამამთილი მაგათი ძმა არ იყო?—ეკითხებოდა ყველას გონება დაბნეული მარიამი.

ამაზე მას, ვინც იცოდა, საქმის გარემოება უპასუხებდა:

— ეგ მამული მამაპაპეული არ იყო, შეძენილი მამულია და ნასყიდობის ქაღალდებში არსად შენი მამამთილის სახელი არა სჩანს... ალბად ძმები, როგორც უსწავლელ კაცს ატყუებდნენ, შენცა სწერიხარო... ეხლა ყველაფერი გამომჟღავნდა და ამიტომ არა მოგცეს-რა, ისევ შეეხვეწე, დაასვინდისე და ვინ იცის, იქნებ...

ეს „იქნებ" გამართლდა. ბევრის ტკბილის, ბევრის ხვეწნის შემდეგ მარიამს, თავის ოთხი შვილით, მიუგდეს რვა დღის მიწა და უთხრეს ზიზღით სავსე, დაღმეჭილის სახით: „ეს წაიღე და თუ ღმერთი გწამს ნუღარ შეგვაწუხებო".

ეს სიტყვები ისეთის სიმტკიცით უთხრეს, რომ მარიამი დაემორჩილა თავის ბედ-იღბალს და აღარავის არ აწუხებდა. დღითი-დღე მარიამის ფიქრი და ზრუნვა ის იყო, რითი ამოევსო პატარა კუჭები თავის შვილებისა. დღემდის მარიამს თავისი შვილები გამოჰყავდა, როგორც შაშვს თავისი ბღარტები. დღეს-კი ის იყო მისული იმ მდგომარეობიდან, რა მდგომარეობაშიაც ჩვენ ვნახეთ.

— ღმერთო, ღმერთო, მშვიდობით გამითენე ეს ღამე—იწერს პირჯვარს მარიამი.

იმ ფიქრთან ერთად, ბავშვებმა არ გამოიღვიძონ, მარიამს აწუხებს და უფრთხობს ძილს ერთი გარემოება: დღეს ერთ მეზობელთან რომ მივიდა პურის სასესხებლად, ჩაიზე მიიპატიჟეს და ჩაის ერთი ნაჭერი პური შეატანა. ეს გარემოება ცეცხლად ედება მარიამის გულს. ის პურის ნაჭერი რომ არ შეეჭამა, ეხლა ამ წუთაში ის ისე არ დაიტანჯებოდა, რადგან ეცოდინებოდა, რომ ის თავის შვილებთან ერთად მშიერია.

მარიამის თავში ფიქრები და სხვა-და-სხვა მოგონებანი ერთი ერთმანეთს ასწრებენ. მას აგონდება, რაც კი რამ გაუგონია თავის მაზლებზედ. ერთი მათგანი მთვრალი, გახეთქილი, რომ მოქეიფე კაცის სახელი დაიმსახუროს და თავისი ჭკუის ხალხი გააკვირვოს, ოცდა-ხუთ მანეთიან ქაღალდში თუთუნს ახვევს, უკიდებს ცეცხლს და სწევს, ვინც ცხენს ჩამოართმევს ორი წამით ხუთ მანეთიანს უგდებს. მეორე ასობით, ათასობით ქაღალდში აგებს, მესამე მეოთხე ყველა კოჭაობს, ყველა ნავარდობს ის კი?.. იმისი შვილები კი?..

— რათა, რათ არის ეს ასე? მეათასჯერ ეკითხება თავის თავს მარიამი და ცხადათ, გამორკვევით ვერ მიუცია პასუხი.

— იმათი ძაღლები გამტკიცულ პურს უნდა სჭამდნენ, ჩემი შვილები-კი შიმშილით უნდა იხოცებოდნენ... იქ, ეხლა სამსე სინები შეაქვთ და გააქვთ, ჩემს შვილებს კი დაობებული პურის ნატეხი ენატრებათ!.. რათა, რათ არის ეს ასე?—კიდევ და კიდევ კითხულობს მარიამი.

მას მარტო ბამბურიძეებთან აქვს საქმე. მას სრულიად არ მოზდის ფიქრად, რომ საზოგადოთ არიან მდიდრები და ღარიბები, რომ ზოგი სცდილობს თავისი კუჭი უფრო და უფრო გააფაქიზოს. ზოგს-კი ნაცარში ამოსვრილი, დანახშირებული ცომი კუტი ენტრებოდა. ის მიზეზათ თავისი უბედურებისა სთვლის ბამბურიძეებს და ყოველ საათის განმავლობაში სწყევლის მათ: ღმერთო, ნუ გაახარებ ბამბურიძეებს და მათ შვილებს!

მარიამს ბევრჯელ მოსვლია აზრად თავის მოკვლა, მაგრამ ეს ფიქრი ბევრჯელ გადუგდია გულიდგან. ამ ღამეს ეს ფიქრი არ ეშვება მას და სდევნის უმოწყალოდ. რასაც მეტს ჰფიქრობს წარსულზედ, აწმყოზედ და მომავალზედ ის თანდათან, ნელის ნაბიჯით, შიშით და სრულის უნდობლობით უახლოვდება ამ დასკვნას. რაღაც საიდუმლო ხმა ჩასჩურჩულებს მარიამს: შენს შვილებს მამული არა აქვთ. ვერ დაზრდი იმათ, გამოვლენ უსწავლელნი, ხეპრე, ტეტიები; უნდა ერჩეოდნენ ნათესავებში, ყველამ უნდა დასჩაგროს, თავში ჩაჰკრას. შენი თავ-მოყვარეობა, შენი სიყვარული, შენი ამაყი გული ვერ აიტანს ამას... მეორე ხმა ეუბნება: თავის მოკვლით რასაც არ დააკლებ, რას მოუტანს შენს შვილებს, შენა ხარ მაგათი პატრონი, უშენოთ ეგენი ვერ იცოცხლებენ... მაგრამ პირველი ხმა შეუბრალებლად უპასუხებს: პატრონი გაუჩნდებათ, შენს ნათესავებს შერცხვებათ. დაირიგებენ, ერთი ერთს მოჰკიდებს ხელს, მეორე მეორეს, შვილებს კარგს აჭმევენ, ჩააცმევენ, დახურავენ, დაზდიან სკოლაში. შენი შვილები მოგიგონებენ სინანულით, სიყვარულით, მადლობით... შენც გეშველება, შენს შვილებსაც...

მარიამს სული შეუგუბდა, ის წამოვარდა ლოგინიდან და გიჟივით დაიწყო აქეთ-იქით ყურება, თითქოს საშველს ეძებსო. ის შიშმა აიტანა. მას ეგონა რომ ეს სიზმარი იყო რომ გამოაღვიძებდა ეს შიში, ეს დამაძაბუნებელი გრძნობა გაუვლიდა, მოეშვებოდა, მაგრამ ყველა ეს ცხადი იყო და მარიამი სასოწარკვეთილობას მიეცა: ამ ის უნდა მოკვდეს. თავის საყვარელ შვილებს აღარ ხედავდეს, აღარ უალერსებდეს, არ უვლიდეს... ვინ მოუვლის, ვინ მოესიყვარულება, ვინ გაუწევს დედობას. დაუწყებენ მოძებნას ყველგან, ვერ იპოვნიან. ის შორს იქნება... შორს... შორს...

დედამ მოავლო შვილებს თვალი და დაიწყო ქვითინი უხმოთ, უსიტყვოთ. იმან გადასწყვიტა სიკვდილი და კიდეც მოისაზრა, სად და როგორ.

მეორე ოთახში, სადაც ჭერი არის აყრილი, ერთ-ერთის კოჭზედ ბამბის თოკია ჩამობმული, ბავშვებმა საქანელა გაიკეთეს, იმ თოკზედ ჩამოიხრჩობს თავს, მაგრამ როდის? ეხლა? ხვალ? თუ ზეგ?

— არა, ეხლავ, ეხლავ, ამაზედ გლახა დრო როდისღა მექნება?—ჩურჩულებს მარიამი. ის მთლად ცახცახმა აიტანა, კბილს კბილზე აცემინებდა, რას ჰფიქრობდა, რას სჩადიოდა, თავის თავს ანგარიშს აღარ აძლევდა. ბოლოს ერთმა ტკბილმა აზრმა გაუელვა თავში მარიამს და გამოაფხიზლა ის; თუ ღამე გამოიღვიძეს და ასტეხეს ტირილი, მაშინ ჩამოიხრჩობს თავს...

— ჰო, ჰო, მაშინ... მაშინ კი უეჭველად... უსათუოთ...

მარიამი მიეშვა, ნელ-ნელ-ნელა სრულიადაც დამშვიდდა და ნახევარ საათის შემდეგ კიდეც ჩაეძინა... ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ბავშვების ქშვინვა გაისმოდა. მთვარე ღრუბლებში გაეხვია და მხოლოდ დრო გამოშვებით ჰფენდა ნათელს დედამიწას. მტკვრისა და პატარ პატარ მთის ღელეების ქშუილი გარკვევით მოისმოდა შორიდან. სოფელში ერთი ძაღლი რაღასაც ჩასციებოდა და თუმცა არაფერს საჭიროებას არ მოითხოვდა, განუწყვეტლივ ჰყეფდა. ბავშვებს საბნები ფეხებით გადაეხადნათ და ტიტვლიკანა ტრიალობდნენ ლოგინში. ეტყობოდათ, რომ რწყილები აწუხებდნენ, რადგან ძილში ხან ფეხს აიშვერდნენ, ხან ხელს, ხან მთელი ტანით შეინძრეოდნენ და თავისი პატარა ხელებით აჩქარებული იფხანდნენ ტანს.

გავიდა საათ ნახევარი. მარიამს სძინავს ისე, როგორც მიეძინა. მის სახეზე აშკარად იხატება დაღლილობა, სიამოვნება და დაკვირვება. „ღმერთო, მშვიდობით გამითენე ეს ღამე" ამბობს მთელი არსება მარიამისა.

მაგრამ... შუთანა ვაჟი შეინძრა. თვალებ დახუჭული ზეზე წამოვარდა და ხელები ისე აათამაშა, თითქოს ვიღასაც, რაღასაც ართმევსო.

— წამართვააა...—შეჰკივლა ბოლოს ბავ-

დან მოწერილ კორესპონდენციაში, სადაც ნათქვამია, რომ ბ-ნმა სახოკიამ სრულიად მოულოდნელად გამოაცხადა, სურვილი მაქვს, ქალაქის საბჭოს წევრობაზედ ვიყარო კენჭიო და არჩეულ უქმნა 24 თეთრი კენჭით 4 შავის წინააღმდეგაო. ამ კორესპონდენციაში ფრიად საგულისხმიერო სიტყვებია „სრულიად მოულოდნელად". ბ-ნ პალმს რომ ვკითხოთ, მთელი ქართველი ერი „სრულიად მოულოდნელად" გაჩნდა ქვეყნიერებაზე, „სრულიად მოულოდნელად" დამკვიდრდა კავკასიაში, „სრულიად მოულოდნელად" შეიქმნა ქართული ენა და სხვ. ბ-ნ პალმის მთელი მოღვაწეობაა ჩვენი, მისთვის სრულიად მოულოდნელი და არა სასიამოვნო ერის გაქარწყვლისკენ არის მიქცეული.

---

10 ივნისს ქ. სტავროპოლის ოლქის სასამართლოს დროებით განყოფილებას განუხილავს საქმე სოფ. ვოზნესენსკის 57 გლეხთა ქალების შესახებ, რომელთაც ბრალდებოდათ მოხელეთა წინააღმდეგობა.

6 ივნისს 1902 წ. სოფ. ვაზნესენსკში უნდა აეცრათ მთავრობის განკარგულებით საქონლისათვის თურქული. გაუგზავნიათ ფელდშერი, რომელმაც მამასახლისს ბრძანება მისცა მეორე დღეს მოერეკა საქონელი სასოფლო გამგეობის ეზოში. გლეხები არ დაემორჩილნენ უკანასკნელის განკარგულებას და არ მორეკეს საქონელი და სოფლის მოხელეებმა ძალად მორეკეს 200 სული საქონელი. ამ დროს შეგროვდნენ სოფლის ქალები ძიცხვით 30—40, ჯოხებით შეიარაღებულნი და მიაწყდნენ სასოფლო სასამართლოს ადგილის კარებს საქონლის გამოსაშვებად; შეანგრიეს კარები და გამოუშვეს საქონელი. ფელდშერმა ყველაფერი აცნობა ადგილობრივ ბეითალს, რომელიც პოლიციის ბოქაულთან ერთად გაემგზავრა სოფ. ვოზნესენსკიში. სოფელს რომ მიაღწიეს, დაინახეს ქალები, რომელთაც სხვა-და-სხვა ნაირი სამეურნეო იარაღი ეჭირათ ხელში და ისე დადიოდნენ ქუჩებში. მოხელეებმა არაფერი ყურადღება არ მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ქალები აღელვებულნი იყვნენ და უბძანეს პოლიციელთ, ისევ მოერეკათ საქონელი. მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა—გლეხებს უკვე 10 ვერსტის სიშორეზე გაედენათ საქონელი, ბეითალი და პოლიციის ბოქაული თვითონ გაუდგნენ გზას საქონლის სანახავად. ადგილზე რომ მივიდნენ, დაინახეს 400-მდე თავმოყრილი სოფლის ქალი. ამ ქალებმა ალყა შემოარტყეს მოხელეთა ეტლს, ცხენებს აღვირში წაავლეს ხელი და განზედ გადაახვევინეს, ასტეხეს ერთი ყვირილი და თან სამეურნეო იარაღს აქნევდნენ ჰაერში. მოხელეებმა უბრძანეს პოლიციელთ, დაეჭირათ ქალები, მაგრამ უკანასკნელნი არ დანებდნენ და ჯოხები დაუშინეს იმათ. ბეითალი და პოლიციის პოქაული გაუდგნენ გზას და ქალებმა დაუწყეს იმათაც ჯოხებისა და ქვების სროლა. ქალთა წამქეზებელი ერთი გლეხის ქალი—კაზაჩკოვა იყო, იგი წინ მიუძღოდა ქალებს და ყვიროდა: „ახლოს არ მოუშვათ ესენი, მე შვიდი წელიწადი გავატარე ბეითალის სახლში და ვიცი, როგორ ამზადებს იგი საწამლავს საქონლისთვისო".

ამ არეულობის მონაწილეთაგან 57 ქალი მისცეს სასამართლოში. კაზაჩკოვის ქალმა გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული, დანარჩენი ქალები-კი უარჰყოფდნენ. სასამართლოს დადგენილებით 37 გლეხის ქალები დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი და მათგან სამს მიუსაჯეს სამი თვით დაპატიმრება, დანარჩენთ-კი 4 დღიდან 2 კვირამდის. ოცი ქალი გაამართლეს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

28 თიბათვე.

პეტერბურგი. მემკვიდრეს ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების დღეს პეტრე-პავლეს ტაძარში გარდახდილ წირვასა და პანაშვიდზედ დაესწრნენ იმპერატორი, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული.

ბელგრადი. ოფიციალური გაზეთი აცხადებს, რომ ის ხმები, ვითომ მე-6 და მე-7 პოლკები ბელგრადიდგან ვალიევოში გადაიყვანესო, სიმართლეს მოკლებულია.

სვინემიუნდე. იმპერატორი გემ „ჰოჰენცოლერნ"-ით ნორვეგიაში წავიდა.

კელნი. „Kölnische Zeitung"-ს ატყობინებენ რომიდგან, რომ პაპმა მთელი ღამე უძილოდ გაატარაო. ღონე თანდათან უსუსტდება.

ათინა. რალლი ჰკისრულობს კაბინეთის შედგენას იმ პირობით, რომ დაცულ იქმნას დელიანისის სამინისტროს საფინანსო პროგრამმა.

როსტოვი-დონზე. აზოვის ზღვაზედ მომხდარა უბედურების გამო განკარგულება მოახდინეს იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ შეამოწმონ ნავთსადგურის ბოგირები და დრო-გამოშვებით მოახდინონ მათი დათვალიერება.

ლონდონი. გემების საადმშენებლო კანონპროექტი საზოგადოებათა პალატამ მიიღო მეორედ წაკითხვის დროს.

რომი. როგორც „Journal d'Italia" იტყობინება, მაცონისა და როსსონის გამოუცხადებიათ, რომ პაპს ოპერაციამაც რომ შეუმსუბუქოს ავადმყოფობა, მისი მორჩენის იმედი მაინც არ უნდა გვქონდესო. თირკმლების მოქმედება სრულებით დამაკმაყოფილებელი არ არის, ფილტვების ანთება არ გამოწელდებია. განახლებული ბალღამი და პლევრიტის განგრძობა მუდმივ მიშს ჰბადებს. საფიქრებელია, რომ პაპმა კიდევ ბრთი ოპერაციაც აიტანოს.

ლონდონი. ამერიკის ესკადრის ოფიცრებს ლორდ-მერმა დიდებული მეჯლისი გაუმართა და წარმოსთქვა სადღეგრძელო პრეზიდენტის პატივსაცემლად. ლორდ-მერმა სთქვა, რომ ინგლისელები გულით მოხარულნი იქმნებიან, თუ როდისმე პრეზიდენტს ინგლისში ნახავენო. ადმირალ კოტტონმა უპასუხა, რომ მისი გემების ინგლისში მისვლა მაუწყებელია ინგლისისადმი მშვიდობიანობისა, მეგობრობისა და თანაგრძნობისაო.

ერევანი. გენერალ ალბრანდის საფლავზედ აღმართულ იქმნა ძეგლი.

29 ივნისი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნ."-ში დაბეჭდილია ცირკულიარი საერო განათლების მინისტრისა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა მიმართ საშუალო და აგრეთვე საქალაქო სასწავლებლებში დისციპლინის დაცემისა, მოსწავლეთა თავ-აშვებულობისა და უფროს კლასებში არსებულ მავნე მიმართულების შესახებ. ცირკულიარი წინადადებას იძლევა იღონონ რაიმე საშუალება აღმზრდელთა მოქმედების გასაუმჯობესებლად და ამგვარ მოვლენათა მოსასპობად.

ბელგრადი. მე-6 პოლკის სარდლად ხამუთოვს პოლკოვნიკს მიშიჩს მეფემ მიანდო სამხედრო სამინისტროს ერთ რომელიმე განყოფილების უფროსობა.

რომი. ბიულეტენი საღამოს 7 საათზედ: „პაპმა დღე საკმაოდ მშვიდად გაატარა. თვით-მგრძნობელობის გაუმჯობესობა ეტყობა. პლევრის სიმწვავე ემჩნევა .ახველებს ხრინწიანად. მაჯა სუსტად აქვს—86, სუნთქვა—28. ტემპერატურა—36,9. გონება დაუწუნარებელი აქვს".

პორტ-არტური. ტიანძინიდგან იტყობინებიან, რომ ბოგდიხანს საიდუმლო ბრძანება გაუცია იაპონიაში მყოფ ჩინელ სტუდენტების დაპატიმრების შესახებ, რადგანაც ეჭვი აიღეს, რომ მათ შეადგინეს საზოგადოება იმ მიზნით, რომ დაამხონ მანჯურიის სამეფო გვარეულობა. ვისაც ცხადად დაუმტკიცდება ამ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება, სიკვდილით დასჯიან; ნაბრძანებია, რომ არა კეთილ საიმედონი არ გადავიდნენ იაპონიის საზღვრებზედ.

პარიჟი. პოლიტიკური წრეები და გაზეთობის უმრავლესობა აცხადებს, რომ ლუბეს ლონდონში მოგზაურობამ ბედნიერი შედეგი მოიტანა და განაახლა კეთილ-განწყობილება ამ ორ სახელმწიფოს შორისაო.

სოფია. საზღვრებიდან სამშვიდობო ცნობები მოდის.სტამბოლიდან იუწყებიან რომ არსებობს ოსმალ ბულგართა კომისიის პროექტი გამოქცეულთა შესახებო. შესაძლებლად სცნობენ მთავარ ფერდინანდის სულთანთან ჩქარა შეხვედრას იმ მიზნით, რომ ბოლო მოუღონ უთანხმოებას და საფუძველი დაუდონ რეფორმების შემოღებას.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭოს სამშაბათს ლაპარაკი ჰქონდა სამხედრო მოქმედებათა დაწყების შესახებ. ის გარემოება,—მოსახერხებელია, თუ არა ომი,—შეცდომით აღსნეს ილდიზ-კიოსკის მოხელეებმა და ამით ისარგებლეს სპეკულიაციისათვის. საბჭო სიჩქარითა და მეცადინეობით იხილავდა სამშვიდობო ღონისძიებებს. ევროპიულ ვილაიეტების ჩქარა დასამშვიდებლად პორტას განუზრახავს შესცვალოს ზოგიერთი თვისი განსაკუთრებული განკარგულება, ბულგარელ სასულიერო პირთა და სკოლათა წინააღმდეგ მიმართული, და გულწრფელად სცდილობს ხელი შეუშალოს მეამბოხეთა კომიტეტის მოღვაწეობას და ოსმალთა ჯარისა და საზოგადოდ მაჰმადიან მცხოვრებთა ბულგარელების წინააღმდეგ მოქმედებას.

30 ივნისი.

რომი. პაპა ერთავად ლოგინშია. ექიმების აზრით მისი უწმიდესობა ჯანჯე კარგად არის. მაცონიმ სთქვა პაპის ამ ნაირ მდგომარეობით კმაყოფილნი უნდა ვიყოთო, საშიში ჯერ-ჯერობით არა მოელისრაო. ბიულლეტენი: „პაპი ღამით კარგად იყო. მაჯა 82, ტემპერატურა 39,4 ოფლი ცოტა ედინა.

სოფია. ოფიციალური წრეები ადასტურებენ. რომ მტრული განწყობილობა პორტასთან მოისპო და აღდგენილ იქმნა მეგობრული ურთიერთობა. ივნისის 27-ს ოსმალეთის კომისარმა ფერუხ-ბეიმ გამოაცხადა ხონთქრის სახელით,—ოსმალეთი მზადაა უკანვე გააბრუნოს ჯარები საზღვრებიდგან, აღარ შეჰყაროს ჯარი, აღარ სდევნოს და აღარ შეავიწროვოს მაკედონიის ბულგარნი, გაანთავისუფლოს პატიმარნი და შემჩნეულნი მაკედონელნი და ნება დართოს ბულგარულ სკოლათა და ეკლესიათა გახსნისა; ეს ყოველივე აღსრულებულ იქნება, თუ ბულგარია ხელს აიღებს განზრახულ სამხედრო მზადებაზე და თავის აღთქმას შეასრულებსო. ამის გამო ბულგარიამ უარ ჰყო ზოგიერთი სამხედრო მზადება. მცხოვრებნი კმაყოფილნი არიან საქმის ამ გვარ შედეგით.

ვაშინგტონი. რუზველტმა დეპეშით გულითადი მადლობა შესწირა ინგლისის მეფეს იმ წრფელ პატივისცემისათვის, რომლითაც მეფე და ინგლისის ხალხი დაუხვდა ამერიკელ ზღვაოსან ოფიცრებს.

ბელგრადი. ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებულია სამსახურში წარმატებულთა სია; მათ შორის არ ურევია არც ერთი მათგანი, რომელნიც შენიშნულნი არიან ალექსანდრე მეფის საწინააღმდეგო შეთქმულობაში.

რომი. ბიულეტენი საღამოს 8 საათზე: „დღეს ავადმყოფ პაპის მდგომარეობა სრულიად არ შეცვლილა.

ვორონეჟი. დაიხურა საგუბერნიო საპედაგოგიო კურსები. თავმჯდომარემ აღნიშნა ერობის მუდმივ მზრუნველობა მოსწავლეთათვის და ის აზრი გამოსთქვა, რომ მცხოვრებთა კულტურული ზრდა სახალხო მასწავლებელთა განვითარებაზედაა დამოკიდებულიო.

ბელგრადი. ივნისას 29-ს დიდის ზეიმით იდღესასწაულეს პეტრე მეფის დაბადების წლის თავი. ტაძრისაკენ მიმავალსა და იქიდგან დაბრუნებულ პეფეს ხალხი და ჯარი ალტაცებით ეგებებოდა. სასახლეში დიდი დარბაზობა და შემდეგ სადღესასწაულო მეჯლისი გაიმართა. ქალაქი ბაიარაღებით იყო მორთული და შემდეგ გაჩირაღდნებული. მომავალ კვირის განმავლობაში უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, გარდა ინგლისისა, რომელიც აქ არ იმყოფება, სარწმუნოების ქაღალდს ჩააბარებენ მეფეს. უცხო სახელმწიფოთა კარზე მყოფ სერბიის წარმომადგენელთა შორის ცვლილება მოხდება. გამოწვეულ იქნებიან ცეტინიესა და სოფიის კარზედ მყოფნი დესპანნი და მაკედონიასა და ძველ-სერბიაში მყოფნი კონსულნი.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,60
პარიჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. . მამულო ბანკის . .	105⅛ მყიდ (?)
5% შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	436½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	288 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	382
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/73 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 2ε წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

2 ივლისისათვის თბილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. ზაქარია დეკანოზოვისა და გრიგოლ მანაგურაძის საქმე.
2. ზაქარია გერქეულისა და ზაქარია კობიევის საქმე.
3. მატრონა მგალობლიშვილისა და ივანე ბაქრაძის საქმე.

განცხადება

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

ნიკოლოზის ქუჩიდან გადავიდა ახალ სადგომში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე,
(მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან)
აბრამოვის სახლში № 9, მიხაილოვის ქუჩიდან-კი № 34

სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(3—6.—1).

ქუთაისში
ს. მ. გ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი		15 „
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით .		6 „
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა). . .		5 „
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა		5 „
ვაჟრული ჭკუა, ლექსი აკაკისა		5 „
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი**	ძველებური ამბავი აკაკისა	5 „
აბრამის და იოგის ლექსი		3 „
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)		5 „
ორი ძოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა**	ხალხური ზღაპარი.	10 „

ვინც მოისურვებს ამ წიგნების ყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

შვმა.

მარიამი თოფ-ნაკრავივით წამოვარდა ლოგინიდგან. ერთს წამში გამოერკვა ძილიდან, მარიამმა მოსაზრა, საით ტიროდა ბავშვი და გაექანა იმისაკენ:

— რა იყო, შვილო, რა იყო... დადეწი... დადეწი... გაჩუმდი, შენ გენაცვალოს დედა... გაჩუმდი...

ბავშვი თვალებს იფშვნეტდა და ჯერ კიდევ გამოურკვეველი ძილიდან აქეთ-იქით იყურებოდა...

— პური წამართვააა... პავლეეემააა... შესჩიოდა დედას.

— აბა, რას ამბობ, შვილო... აიგერა პავლა... უყურე... პავლეს სძინავს... აი შეხედე მიუთითა დედამ უმფროს ძმაზე.

ბავშმა გადაჰხედა ძმას და თითქოს შერცხვაო, რადგან მას ღრმათ ეძინა, ჩაეკრო დედას გულში და კრუსუნით უთხრა:

— დედაა... პური მშიან...

— პურზედ ლაზარე გავგზავნე—ატყუებდა დედა—ეხლავე მოვა და მოიტანს... აი საცაა გათენდება, „სამოვარს" დავდგამთ, ჩაის დავლევთ... შენ დღეს ორ „სტაქანს" დაგალევინებ... არა გენაცვალე?... ჩაგდებულს დაგალევინებ... დაიძინე შვილო... დაიძინე...

„სამოვრისა" და ჩაის გაგონებაზედ ბავშვი დაჩუმდა, მაგრამ არ გასულა ხუთი წამი, რომ ისევ წამოიძახა...

— პური მშიააან... დედააა...

და რადგან დედამ ხმა აღარ გასცა ტირილს თან-და-თან უმატა, ბოლოს ღრიალიც მორთო.

მარიამი სულ სხვაზედ ჰფიქრობდა და ანგარიშ მიუცემლად და სრულიად უმიზნოთ ყუნწებოდა.

— დაიძინე... შვილო... დაიძინე.

ბავშვი თავისას არ იშლიდა.

აგერ ყველაზედ უნცროსიც შეინძრა, წამოჯდა ლოგინში და ტირილით შესძახა:

— დედააა...

— პური მშიან... რიგ რიგათ გაიძახოდა ორი ბავშვი.

უფროსმა ვაჟმაც გამოიღვიძა, რამდენიმე ხანს უგდო ყური ძმების ტირილს და ბავშურის ბრძანებით დაუყვირა.

— რა გატირებთ, ჰა? მეც მშიან, მაგრამ-კი არა ვსტირი...

ხილაბანდ გახსნილი, თმა გაწეწილი დაგაფითრებული შესაზარ რასმეს წარმოადგენდა მარიამის სახე. ის აღარ უგდებდა ყურს ბავშვების ტირილს, უაზროთ ატრიალებდა აქეთ-იქით თავს და ხშირად სუნთქავდა.

— ეს ღვთის განგებაა... ალბად ასე უნდა... ასე მიწერია—ჩურჩულებდა მარიამი.

ბავშვები წათამამებულნი დედის გაჩუმებით უმატებდნენ ტირილს.

მარიამს ეტყობოდა, რაღასაც ებრძოდა, ის ხან წამოიწევდა, ხან შეჩერდებოდა და გიჟივით აბრიალებდა თვალებს. ბოლოს თითქოს თავს დასძლიაო, გიჟივით წამოვარდა ზეზე.

— ეხლავე, შვილებო, ეხლავე... პური გშიანთ?!. ეხლავე ჩავიცვა თუ ასე?.. სირცხვილია... დილაზე... მნახამენ,—ამ სიტყვებით ის გაექანა იმ ადგილას, საცა მისი ტანისამოსი ელაგა, გადაჰყარა, გადმოჰყარა, დაავლო ხელი ქვედა ტანს, საჩქაროდ გადიცვა და აკანკალებულის ხელებით ღუგმის შეკვრას ლამობდა...

ამ დროს მოისმა ფეხის ხმა... კარებს ვიღაცა მოაწვა... მარიამი შეკრთა, შესდგა... ერთი წამიც და კარებში შემოვიდა ლურჯი პერანგით, საკინძე გახსნილი და მაზარა წამოსხმული მოჯამაგირე ლაზარე.ის შეჩერდა. კარებში მოავლო თვალი ოთახს. გაარჩია ქალბატონი და ზლაზნითიკითხა.

— ქალბატონო, რათა ტირიან ბავშვები? პური ხომ არა შიანთ? წეღან სახლში გახლდით და ორი პური წამოვიღე, ერთი გიახელით, და აი ერთა დამრჩა... კარგი, ნუ ტირით!—მიუბრუნდა ბავშვებს—აი, აჰა... მოიცადეთ, ყველას მოგიტეხამთ!—ამ სიტყვებით თანასწორათ გადატეხა პური და დაურიგა ბავშვებს, რომლებსაც ცრემლები ჯერ არ შესწყვეტოდათ, მაგრამ პურს ღმურძვლა დაუწყეს.

— თქვენ სად მიბრძანდებით, ქალბატონო—, იკითხა ლაზარემ, როცა ბავშვები გაჩუნდნენ.

გაიარა რამდენიმე წუთმა, ვიდრე მარიამი პასუხს მისცემდა.

— მეზო....ბლებში.... მინდოდა მესესხა.. პური...

— ამ დროს ვის გააღვიძებდით, ყველასა სძინავს! ღამე მშვიდობისა... აღარ იტიროთ, დაიძინეთ!—მიუბრუნდა ბავშვებს ლაზარე და გავიდა ოთახიდამ.

მარიამი გულმიხდილი, მისუსტებული, როგორც იყო ისე დაეცა ლოგინზე...

მუსიკას გრიალი გაჰქონდა. ვინც ღვინოს არა სვამდა აშლილიყვნენ, სუფრაზე ისხდნენ მხოლოდ მასპინძელი, თამადა და ერთი ორი სხვა, რომლებსაც ქალების არშიყობას ღვინის სმა ერჩიათ.

— ბატონებო, ბატონებო,—ყვიროდა გაწითლებული თამადა.—სიტყვის მასალა შემამელია, ვერაფერს ვიტყვი კარგსა ერთი კინტოს სადღეგრძელო უნდა დავლიო, ეს ღმერთმა აღღეგრძელოს, ვისაც ჩვენ ვაგონდებოდეთ ამ საათში და კარგი უნდოდეს ჩვენთვის.

— ღმერთმა აცოცხლოს...

— გაუმარჯოს...

გაუმარჯოს, დაუმატოთ ჩვენც...

ს-. ყიფიანი.

ს. ქვიშხეთი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 іюня 1903 г. Типографія Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзэ). д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაზიშვილი